ლელო

№№ 163, 164
(10 577)
31 აგვისტო
შაბათი
1991 წ.
ფასი 10 + 10 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და
ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ისრაელი, შემდეგ თბილისი...

ეს ცნობა გუშინ საღამოს მოგვაწოდეს

ისრაელში პირველად ჩავიდნენ სტუმრად ქართველი მოფარიკავეები. ისინი იქ მიიწვიეს ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ისრაელის, საფრანგეთის, ინგლისის, უნგრეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთის, პოლონეთის და საქართველოს რაპირისტები. ჩვენი გუნდის ოთხივე წევრი საფარიკაო კლუბ „კამარას“ (ეს კლუბი სააქციონერო საზოგადოება „ინტურმშენმა“ გახსნა) აღსაზრდელები არიან. ტურნირის მესამე პრიზიორი გახდა ნიკა ლექავა (მწვრთნელი გიორგი აბაშიძე).

ქართველმა ჭაბუკებმა იქვე მიწვევა მიიღეს ინგლისისა და ჩეხეთ-სლოვაკეთის სპორტის წარმომადგენლებისაგან. წლეულს, 20-25 დეკემბერს კი „კამარა“ თბილისში ჩაატარებს საერთაშორისო ტურნირს რაპირაში. ისრაელში მყოფმა სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციებმა თანხმობა განაცხადეს თბილისში ჩამოსვლაზე.

ლელა მესხი — მესამე წრეში

ნიუ-იორკი. აშშ-ის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის წინ გამოქვეყნდა ვაჟთა და ქალთა რეიტინგები, რომლებიც გამოიყურება ასე:

ვაჟები. 1. ბორის ბეკერი (გერმანია), 2. სტეფან ედბერგი (შვეცია), 3. მიჰაელ შტიჰი (გერმანია), 4. ივან ლენდლი (ჩეხეთ-სლოვაკეთი), 5. ჯიმ კური, 6. ანდრე აგასი (ორივე — აშშ), 7. გი ფორჟე (საფრანგეთი), 8. პიტ სამპრასი (აშშ), 9. სერხი ბრუგერა (ესპანეთი), 10 მაგნუს გუსტაფსონი (შვეცია).

ქალები. 1. მონიკა სელეში (იუგოსლავია), 2. შტეფი გრაფი (გერმანია), 3. გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 4. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი), 5. მარტინა ნავრატილოვა, 6. მერი-ჯო ფერნანდესი, 7. ჯენიფერ კაპრიატი (ყველა — აშშ), 8. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი), 9. იანა ნოვოტნა (ჩეხეთ-სლოვაკეთი), 10. მანუელა მალეევა-ფრანიერი (შვეიცარია), ჩვენი თანამემამულე ლელა მესხი ამ სიაში მეცამეტეა.

ამერიკის ღია ჩემპიონატზე მესხმა მორიგი გამარჯვება იზეიმა და მესამე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა პერუელი ლაურა გილდემეისტერი — 6:4, 3:6, 6:0.

საკმაოდ გაუჭირდა მესამე ნომრად განთესილ არგენტინელ საბატინის ავსტრიელი ბარბარა პაულიუსის დამარცხება. საბატინიმ მოიგო პირველი პარტია — 6:3, აი, მეორე კი დათმო — 4:6. მესამის გაგრძელება ავსტრიელმა ტრავმის გამო ვერ შესძლო, თუმცა არგენტინელი ჩოგბურთელი შეხვედრას უკვე იგებდა ანგარიშით 5:1.

ჯერჯერობით ვერც მონიკა სელეში თამაშობს თანაბრად. მართალია, ნაკლებად ცნობილ შვეიცარიელ ემანუელ ძარდოს პირველი და მესამე პარტიები მშრალი ანგარიშით მოუგო, მაგრამ მეორეში დამარცხდა — 4:6, რაც მსოფლიოს პირველ ჩოგანს არ ეკადრება.

მეორე წრეში ვაჟთა გათამაშებას გამოაკლდა ათეულის კიდევ ორი წევრი: გი ფორჟე და სერხი ბრუგერა. პირველს აჯობა ჰოლანდიელმა იან სიმერინკმა (4:6, 6:3, 6:2, 7:6), მეორეს — ესპანელმა ხავიერ სანჩესმა (7:6, 6:3, 6:0).

საერთო სიხარული

უკრაინის ახალგაზრდობისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ
ვლადიმერ ბარაბაშს

ბატონო ვლადიმერ!

სიხარულით შევიტყვეთ, რომ უკრაინამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. გულითა და სულით გილოცავთ თქვენი ქვეყნის ცხოვრებაში ამ ისტორიულ მოვლენას. ჩვენი რესპუბლიკების თავისუფლება ხელს შეუწყობს უკრაინელი და ქართველი სპორტსმენების ურთიერთობის გაფართოებას, საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე მათ შემდგომ წარმატებებს.

კახი ასათიანი,
საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი.

• • •

ასეთივე შინაარსის დეპეშა გაიგზავნა მოლდოვაში.

ლიტვის მთავრობასთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს ბატონ
ალგირდას რასლანასს

ბატონო ალგირდას!

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის სახელით გულითადად მოგილოცავთ თქვენი ქვეყნის ცხოვრებაში ისტორიული სამართლიანობის აღდგენას. ვიმედოვნებთ, რომ ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების პროცესი დააჩქარებს თქვენი სპორტსმენების დამოუკიდებლად ჩართვას მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში, გააღრმავებს ლიტველ და ქართველ სპორტსმენთა მეგობრულ ურთიერთობას.

კახი ასათიანი,
საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი.

• • •

ანალოგიური შინაარსის დეპეშები გაიგზავნა ლატვიასა და ესტონეთში.

უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ბატონ
ვალერი ბორზოვს

პატივცემულო კოლეგა!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით უკრაინის მთელ სპორტულ საზოგადოებრიობას თქვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას. გამოვთქვამ რწმენას, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მალე აღიარებს უკრაინის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს.

ნონა გაფრინდაშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

• • •

ასეთივე შინაარსის დეპეშა გაეგზავნა მოლდოვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს.

ლიტვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ბატონ
არტურას პოვილიუნასს

პატივცემულო კოლეგა!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით, გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ლიტვის სპორტულ საზოგადოებრიობას, ლიტვის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების დაწყებას. საქართველოში თქვენთან ერთად ვხარობთ, რომ გაჩნდა ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში თქვენი ქვეყნის წარმომადგენელთა დამოუკიდებელი გუნდით მონაწილეობის პერსპექტივა.

ნონა გაფრინდაშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

• • •

იგივე შინაარსის დეპეშები გაეგზავნა ლატვიისა და ესტონეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტებს.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„დილა“ (გორი) —
„მრეტები“ (თბილისი) 1:2

„მერცხალი“ (ოზურგეთი) —
„სამგურალი“ (წყალტუბო) 1:2

„მზიური“ (გალი) —
„ალაზანი“ (გურჯაანი) 3:0

„კოლხეთი“ (ხობი) —
„გორდა“ (რუსთავი) 0:0

„შევარდენი-1906“ (თბილისი) —
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) 3:1

„ხულორი“ (ვანი) —
„ოდიში“ (ზუგდიდი) 1:2

„სამტრედია“ (სამტრედია) —
„ცხუმი“ (სოხუმი) 2:3

„იბერია“ (თბილისი) —
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0:1

„გურია“ (ლანჩხუთი) —
„ქუთაისი“ (ქუთაისი) 3:1



ბალტიისპირეთიდან ბარსელონამდე

ტოკიო. იაპონიის დედაქალაქში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატს ესწრება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ადგილობრივ და უცხოელ ჟურნალისტებთან პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, განიხილოს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში მიღების საკითხი, ვინაიდან ისინი უკვე გამოვიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობიდანო.

ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საბოლოო აღიარება მოხდება, ალბათ, სოკ-ის ბერლინის სესიაზე, რომელიც სექტემბრისთვისაა დანიშნული. პრეს-კონფერენციაზე სამარანჩმა გამოთქვა რწმენა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების გუნდები, ისევე როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დელეგაცია, მონაწილეობას მიიღებენ 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში.

ფეხბურთი — ჩვენი სიხარული და... სინანული

იხ. მე-2-3 გვ.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარებისა და საჩივრების განმხილველი კომისიის

დასკვნა

საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ბრძანების შესაბამისად, ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარებისა და საჩივრების განმხილველმა კომისიამ შეისწავლა რესპუბლიკის პირველი და მეორე ეროვნული ჩემპიონატების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დღევანდელ ქართულ ფეხბურთში შეიქმნა მეტად საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს დაინტერესებული ორგანიზაციების საერთო ძალისხმევას ვითარების გამოსასწორებლად. მდგომარეობის შესწავლამ წარმოშვა მრავალი კითხვა. მათგან მთავარია, გვჭირდება თუ არა ამდენი ფეხბურთის გუნდი რესპუბლიკაში, როცა სოფელიც აღარ დარჩა „პროფესიული" საფეხბურთო კლუბისა და გუნდის გარეშე, როცა გუნდებში თავს იყრიან არაპროფესიონალი მწვრთნელები და საეჭვო რეპუტაციის მეცენატები, როცა ნაკლებად ზრუნავენ რეზერვზე, ნიჭიერ ბავშვთა შერჩევასა და მათ რეგულარულ ვარჯიშზე. მაყურებელთა თავდასხმისაგან დასაცავი მავთულხლართებით შემოზღუდულმა ქალაქების, რაიონების და სოფლების სტადიონებმა გზა გადაუღობა „ქუჩის" და თვითმოქმედი ფეხბურთის აღორძინებას.

მდგომარეობის გამართლება კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, რომ არსებობდეს რაოდენობისა და ხარისხის რაიმე შესაბამისობა. შეუძლებელია დღევანდელ პირობებში გვყავდეს ორ ასეულამდე კვალიფიციური მწვრთნელი (ზოგჯერ თითოეულ გუნდს რამდენიმე მწვრთნელიც ჰყავს), ასევე შეუძლებელია გვყავდეს ამდენი კვალიფიციური მსაჯი (თითოეულ მატჩს ხომ სამ-სამი მსაჯი ემსახურება). ყველაფერი ეს ნებით თუ უნებლიეთ ანტიფეხბურთისაკენ მიაქანებს ყველასათვის საყვარელ სპორტის სახეობას. დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩვენი ყოველი ქმედება მიმართული უნდა იყოს ეროვნული კონსოლიდაციისაკენ, თითქმის ყოველი მესამე საფეხბურთო მატჩის შემდეგ დანასისხლად ემტერებიან ერთურთს მატჩებში მონაწილე ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობა, თვით ერთი რაიონის [illegible] მეზობელი სოფლებიც კი. ამ ფონზე [illegible] თავაშვებულობა, დაუსჯელობის და, რაც ყველაზე სამწუხაროა, კუთხურობისა [illegible] გამოვლენის ატმოსფერო.

კომისიას მრავლად დაუგროვდა მასობრივი მუშტი-კრივის, ზღვარსგადასული თავაშვებულობის, ცინიზმის, ალებ-მიცემობის, წინასწარ მოლაპარაკებული თამაშების და, რაც მთავარია, სისხლის სამართლის კანონის იგნორირების ფაქტები, ზოგჯერ დამნაშავეებად თვით წესრიგის დამცველნიც კი გვევლინებიან. შეიძლებოდა თითქმის დაკანონებული ალვირახსნილობის გაუგონარ მასშტაბებზე დაკონკრეტებით საუბარიც, მაგრამ კომისიას მიაჩნია — ყოველივე ეს საგამომძიებლო ორგანოების კომპეტენციაა და იმედოვნებს, რომ ჩემპიონატი, რომელიც ჩვენი ეროვნული დროშის ეგიდით ტარდება, გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას ავალებს მის ორგანიზატორებს.

კომისია ერთსულოვნად იზიარებს იმ აზრს, რომ ზემოაღნიშნულ უმსგავსობათა აღკვეთის ერთ-ერთი რეალური პირობაა მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესება. რესპუბლიკას ჰყავს საერთაშორისო სტანდარტების დონის მსაჯთა კორპუსი, რომელთა დიდი მცდელობის მიუხედავად, ისევ და ისევ მონაწილე გუნდების სიმრავლის გამო, მატჩებს ემსახურებიან არაკვალიფიციური მსაჯები, ისეთები, რომლებიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი მხილებებით კორუმპირებულნი არიან და მათი მსაჯობა მიზანშეუწონელია. არის შემთხვევები, როცა მსაჯები საერთოდ არ ცხადდებიან კალენდარულ მატჩებზე და მათი ფუნქცია ეკისრება ადგილობრივ მსაჯთა ბრიგადას, ეს კი მასპინძელი გუნდისათვის თითქმის გამარჯვების ტოლფასია. ხშირ შემთხვევაში, ზედმეტ ლიბერალობას იჩენენ მატჩის კომისრები, რითაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ ახალბედა მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ვინაიდან, ობიექტური მსაჯობა არა მარტო ქართულ ფეხბურთს წაადგება, არამედ ეს იქნება მაგალითი რესპუბლიკაში სამართლიანობისა და ობიექტურობის აღორძინების, ყველა ნეგატიურთან თვალნათლივ, შეუპოვარი ბრძოლის დაწყებისა, ბოლოს კი ახალგაზრდობაც იწამებს სიმართლისა და სამართლიანობის ზეობას.

მოუთმენელია ის ფაქტები, რომ გუნდის ხელმძღვანელები, რომლებიც ვალდებულნი არიან, დახმარება გაუწიონ მატჩის არბიტრებს, თუ ვერ მოხერხდა მათთვის სასურველი გარიგება, მაყურებელთა თვალწინ, ხშირად რეგიონის თავკაცთა დასანახად, ხმამაღლა გამოთქვამენ უკმაყოფილებას მსაჯის მიმართ, რაც გამაღიზიანებლად მოქმედებს მაყურებლებზე და სიტუაცია უმართავი ხდება. ასეთი ექსცესები ფედერაციის სასარგებლოდ კლუბის დაჯარიმებით მთავრდება (სამწუხაროდ, არ არსებობს დებულების პუნქტი, თვით ფედერაციის დასაჯარიმებლად). ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ჯარიმის მაგივრად, შევლეოდით რამდენიმე ხელმძღვანელს, ან მათ საკუთარი ჯიბიდან გადაეხადათ ჯარიმა დაზარალებულის სასარგებლოდ.

ცალკე განსჯის საგანი უნდა იყოს ჯარიმის წყაროს საკითხი. ყველასათვის ცნობილია, რომ კრიტიკულ ზღვრამდე დავიდა ფეხბურთის მაყურებელთა რიცხვი. მხოლოდ ათიოდე ქალაქში და რაიონში, ისიც ლატარიის ხათრით, გროვდება 5-10 ათასი მაყურებელი. საკითხავია, როგორ იხდიან ჯარიმებს ის ქალაქები და რაიონები, სადაც არც აბონემენტი იყიდება და არც მატჩის ბილეთები, ან იმ სოფლის „პროფესიული" გუნდები, სადაც „სტადიონებზე" მაყურებელთა დასაჯდომი ადგილებიც არ არის? იხდიან ხალხის ჯიბიდან, იმ გლეხის ჯიბიდან, ვინც უნდა მოიწიოს მოსავალი და ერი გამოკვებოს; იმ თანხებიდან, საერთო ეროვნულ საქმეს, მათ შორის სპორტის სხვა სახეობების განვითარებას რომ უნდა მოხმარდეს. ყველაფერი მიდის ისევ და ისევ იმ ჭეშმარიტებამდე, რომ მიზანშეუწონელია ჩვენი რესპუბლიკისათვის გუნდების ასეთი სიმრავლე.

რესპუბლიკის ჩემპიონატის ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იქნას რეგიონალურ პირველობებზე, რითაც ქალაქებისა და რაიონების ჩემპიონებს საშუალება მიეცემათ იბრძოლონ რესპუბლიკის ჩემპიონობისათვის. ამით გაიზრდება მოთამაშეთა დაინტერესება და სტიმული, გზა გადაეღობება არაპერსპექტიული ფეხბურთელებით გუნდების ხელოვნურად შეკოწიწებას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით კომისია წინადადებას სთავაზობს რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს, განიხილოს საკითხი, რათა 1992 წლის საფეხბურთო სეზონზე შემოღებული იქნას ეგრეთწოდებული გუნდების შემცირების ეტაპობრივი სქემა. კერძოდ:

1991-92 წლების უმაღლესი ჯგუფის ჩემპიონატის ბოლო ოთხ ადგილზე გასული გუნდი მომდევნო სეზონისათვის იასპარეზებს პირველ ჯგუფში, ხოლო უმაღლეს ჯგუფს დაემატება პირველ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გამოსული გუნდები, მომდევნო სეზონებშიც იგივე პროცედურის განმეორებით უმაღლესი ჯგუფის გუნდების ოპტიმალური რაოდენობა უახლოეს პერიოდში გახდება 14, რაც საშუალებას მოგვცემს უმტკივნეულოდ წარვმართოთ ორ-ორი გუნდის მონაცვლეობა როგორც უმაღლეს და პირველ ჯგუფს შორის, ასევე მომდევნო ჯგუფებშიც.

კომისიას მიაჩნია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ 1992-93 წლებისა და შემდგომი ციკლების დებულებათა შედგენის დროს, უმაღლესი ჯგუფის ცვლილებების გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს გუნდების მონაცვლეობის ისეთი ფორმა, რომ პირველ ჯგუფში იყოს 16-18 გუნდი, ხოლო მომდევნო ჯგუფის გუნდების რაოდენობა არ აღემატებოდეს 20-ს. ჯგუფებში მონაცვლეობა, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს მხოლოდ სპორტული შედეგების გათვალისწინებით.

კომისია გამართლებულად ჩათვლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას, უმაღლესი ჯგუფის სათადარიგო გუნდების შექმნისა და მათთვის საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ სათანადო თანხმობა იქნება მიღებული უმაღლეს ჯგუფში ყველა საფეხბურთო კლუბებისა და შესაბამისი რეგიონების ხელმძღვანელობისაგან, ადგილებზე შექმნილი ვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ტრანსპორტის, სასტუმროს, კვების ორგანიზაციის და სხვა ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების გათვალისწინებით.

ფეხბურთის მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მსაჯთა ახალგაზრდა კადრების მომზადების მიზნით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ყოველი ჩემპიონატის ჩატარების წინ უსწრებდეს მსაჯთა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები, მოკლევადიანი სემინარები ადგილობრივი და საზღვარგარეთელი კონსულტანტების მონაწილეობით; მოეწყოს მსაჯთა ატესტაციები და დადგინდეს კანდიდატურები უმაღლესი, პირველი და მომდევნო ჯგუფების თამაშების მომსახურებისათვის.

საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნას ფეხბურთის მსაჯთა სპეციალიზაციის განყოფილება ფეხბურთის სპეციალობის სტუდენტთა აუცილებელი სამსაჯო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

კომისია მიზანშეწონილად თვლის საგანგებოდ შერჩეულ ვეტერან ფეხბურთელთა და მსაჯთა მოკლევადიან მივლინებებს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ადგილობრივ დამწყებ მსაჯებთან საკონსულტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, პერსპექტიული კანდიდატურების შესარჩევად და მსაჯთა მოსამზადებელ კურსებზე მოსაწვევად მათი შემდგომი გამოყენების მიზნით.

კომისიის აზრით, ფედერაცია და მისი სამსახურები, ნებით თუ უნებლიეთ, გარკვეულწილად, ხელს უწყობენ მსაჯობის პროცესში შექმნილ სიძნელეებს, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება ჩემპიონატის დებულების ცალკეული პუნქტების იგნორირებით. მაგალითად, სადისციპლინო და ფინანსურ სანქციებში დებულების პირველი პუნქტი აკანონებს: „მსაჯის ცემის ან მის მიმართ ძალადობის გამო, მატჩამდე, მატჩის დროს ან მატჩის შემდეგ (თუ მსაჯს მიაყენეს ფიზიკური ტკივილი ან ტრავმა) — განისაზღვრება სასჯელი დისკვალიფიკაცია 1 წლით და ჯარიმა 3000 მანეთი".

კანონი ლოგიკურია, მაგრამ მათზე ფაქტიური რეაგირება ჩრდილს აყენებს სპორტულ-ტექნიკური კომისიის რეპუტაციას. კერძოდ:

1. სტკ ოქმი № 1. ფეხბურთელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რომელმაც ვეღარ შეძლო მატჩის გაგრძელება. მოთამაშე დაჯარიმდა 1000 მანეთით (?) და აეკრძალა ერთი კალენდარული თამაში (?).

2. სტკ ოქმი № 4. თამაშის მსვლელობის დროს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს, მატჩის დამთავრების შემდეგ კვლავ ხელყვეს იგი, დამნაშავე ფეხბურთელებს მიეცათ დისკვალიფიკაცია 3-3 თამაშით (?) და დაჯარიმდნენ 500-500 მანეთით (?).

3. სტკ ოქმი № 6. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს. ფეხბურთელს მიეცა დისკვალიფიკაცია 5 თამაშით (?) და დაჯარიმდა 1000 მანეთით (?).

ასეთივე ანაქრონიზმია სტკ სხვა გადაწყვეტილებებშიც (ოქმი № 3-5-9).

ასეთი ლიბერალიზმი სერიოზულად ულახავს ავტორიტეტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ბადებს ეჭვებს, რომ შექმნილი უწესრიგობანი და შემდგომში „მოძრავებული მოსამართლის" როლი აწყობს ფედერაციის ზოგ თანამშრომელს, რომელთა რაოდენობა 62 ერთეულამდეა გაზრდილი, რაც დღეისათვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს და სხვა არაფერია, თუ არა თანხის უაზროდ ფლანგვა.

კომისიას მიაჩნია, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სადისციპლინო კოდექსის იმ პუნქტის მკაცრად დაცვას, როცა სტადიონის დირექცია ვერ უზრუნველყოფს მატჩის მიმდინარეობის დროს ნორმალური პირობების შექმნას და ამ მიზეზით ჩაიშლება თამაში, სტადიონს ასეთ შემთხვევაში უნდა მიეცეს დისკვალიფიკაცია 10 თამაშით და დაჯარიმდეს 10 000 მანეთით, რაც, როგორც წესი, არ სრულდება.

კომისიას მიაჩნია, რომ სტადიონის დისკვალიფიკაციის პერიოდში მატჩები უნდა ჩატარდეს დასჯილი სტადიონიდან 100 კმ და მეტი მანძილის დაშორებით.

თუ გუნდის ან მაყურებლის უღირსი საქციელის გამო (მსაჯის შეურაცხყოფა, მოწინააღმდეგესთან ჩხუბი, შესვენების დროს მსაჯთა ოთახში ან სტუმართა გუნდის გასახდელში დებოშის ატეხვა) თამაში ჩაიშალა, დამნაშავე გუნდი უნდა მოიხსნას გათამაშებიდან და მიეცეს დისკვალიფიკაცია ერთი სეზონით. დისკვალიფიცირებული გუნდი სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ დაიშვება მხოლოდ ზონალურ გათამაშებაში.

დებულებაში დასამატებელია ორი მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი:

1. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდს თამაშზე გამოუცხადებლობისათვის უნდა ჩაეთვალოს წაგება 0:3 და დაჯარიმდეს 5000 მანეთით. თუ გუნდი მეორედაც არ გამოცხადდა თამაშზე, იგი მოიხსნება და მომავალში დაიშვება მხოლოდ ზონალურ გათამაშებაში:

2. გუნდს, რომელიც მოიხსნება გათამაშებიდან და ჩატარებული აქვს თამაშების 50 პროცენტზე მეტი, დარჩენილ თამაშებში ჩაეთვლება წაგება ანგარიშით 0:3.

კომისია ვალდებულია პასუხი გასცეს ძირითად კითხვას — რა შემატა ქართულ ფეხბურთს განვლილმა ორმა წელმა:

სამწუხაროდ, მოხდა ფეხბურთის დონის ნიველირება წამყვან ფეხბურთელთა ოსტატობის დაქვეითების ხარჯზე.

კომისიის წევრთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ შეცდომით დაკომპლექტდა უმაღლესი ჯგუფი მხოლოდ ბოლო წლის სპორტული შედეგების გათვალისწინებით, იმის გამო, რომ მკვეთრად იყო ლიმიტირებული მონაწილეთა ასაკი (23 წლამდე), და არ ასახავდა გუნდების რეალურ შესაძლებლობებს. იგნორირებული იქნა შეთავაზებული ტერიტორიული პრინციპი.

საქმის ასეთმა ცალმხრივმა გადაწყვეტამ დიდი ფეხბურთის მიღმა დასტოვა მთლიანად კახეთის რეგიონი, კერძოდ ისეთი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქი, როგორიცაა თელავი. დღეს სწორედ ეს შემთხვევით აღზევებული გუნდები ცდილობენ კორუპციით, მუქარით, დესტაბილიზაციით და სხვა არასპორტული ხერხებით შეინარჩუნონ ადგილი მაღალ ჯგუფებში.

დამფუძნებელი ყრილობის შემდეგ, ალბათ დიდი შეცდომა იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შტატების თითქმის მთლიანად ძველი საფეხბურთო მმართველი აპარატის წევრებით დაკომპლექტება. მათ ვერ უზრუნველყვეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების პრაქტიკული რეალიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და არსებულის სრულყოფა, საფეხბურთო სკოლებისა და კლუბების ცენტრალიზირებულად მომარაგება სპორტული ფორმითა და ინვენტარით.

არ იგრძნობა პოზიტიური ძვრები კორუფციის, პროტექციონიზმისა და სხვა მანკიერი ჩვევების აღმოსაფხვრელად.

საფუძვლიანია მტკიცება, რომ მმართველი აპარატი სათანადოდ ვერ ზრუნავს და იცავს ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და კლუბების მესვეურთა ინტერესებს.

რაც შეეხება სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას, რიგი გუნდების გათამაშებიდან მოხსნისა და ადგილის შენარჩუნების შესახებ, მიგვაჩნია, რომ შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, იგი უნდა დარჩეს ძალაში, თუმცა, თვით გადაწყვეტილების მიღების სისწორე ჭიათურის „მაღაროელთან" დაკავშირებულ საკითხთა გამო, კომისიას არასწორად მიაჩნია.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარების შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის და აპარატის მუშაკთა გადახალისება და მათი რაოდენობის შემცირება.

ახლად შექმნილმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა უმოკლეს ვადებში მთელი პრინციპულობით უნდა განიხილოს ჯგუფებში გუნდების დაშვების რაოდენობის საკითხი კომისიის წინამდებარე დასკვნის გათვალისწინებით.

კომისიამ გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია სამთავრობო დადგენილების მიღება რესპუბლიკაში ფეხბურთის შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ.

მურთაზ მნათობიშვილი — კომისიის თავმჯდომარე, **ჯანსუღ ბაგრატიონი** — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, **ომარ შოშიაშვილი, ვლადიმერ ბარძაია, ვახტანგ მახარაძე, გიორგი ბაქანიძე, გივი ნოდია, გაბრიელ ჩუთლაშვილი** — კომისიის წევრები.

რედაქციისაგან: კომისიაში შედიოდა კიდევ ორი წევრი — ანატოლი ნორაკიძე და ალექსანდრე ჩივაძე, რომლებიც კომისიის დასკვნას არ დაეთანხმნენ. მიზეზი წერილობით კომისიისათვის მათ არ მიუწოდებიათ და არც ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ვაუწყოთ იგი მკითხველს. ბუნებრივია, ფეხბურთის გულშემატკივრებში და „ლელოს" მკითხველებში გაჩნდება სურვილი შეიტყონ თუ რა მოხდა, რატომ არ ეთანხმებიან ნორაკიძე და ჩივაძე კომისიის გადაწყვეტილებას. რედაქცია დაელოდება მათ ოფიციალურ განმარტებას.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარებისა და საჩივრების განმხილველ კომისიას

ასლი: გაზეთ „ლელოს" რედაქციას

საქართველოს რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის ბატონ კახი ასათიანის ბრძანებით შექმნილი თქვენდამი მონდობილი კომისიის დასკვნის გულდასმით შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, უწინარესად მადლობას უხდის კომისიას გაწეული მუშაობისათვის.

ფედერაციამ თქვენი კომისიის რამდენიმე წინადადება უკვე გაითვალისწინა და შეიტანა კიდეც 1991-1992 წლების მესამე ჩემპიონატის დებულებაში, კერძოდ: ტენდენცია აღებულია ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რიცხვთა შემცირებაზე, რაც სფფ-ის ფიფა-ში გაწევრიანებამდე მოხდება მე-3, მე-4 და მე-5 ჯგუფების იმ გუნდების ხარჯზე, რომლებიც განიცდიან რთულ ეკონომიკურ პირობებს და ამასთანავე, სუსტი მატერიალურ-სპორტული ბაზა აქვთ. სფფ-ის ფიფა-ში გაწევრიანებამდე, ამ ვითარებაში, სპეციალისტების დიდი უმრავლესობის აზრით, უმაღლეს და პირველ ჯგუფში არ შეიძლება შემცირდეს გუნდების რაოდენობა.

მესამე ჩემპიონატიდან მნიშვნელოვნად გაძლიერდება კონტროლი და მომთხოვნელობა, როგორც საფეხბურთო კლუბების და გუნდების ხელმძღვანელობის, ისე სტადიონის დირექციების, გულშემატკივრების და უდისციპლინო ფეხბურთელების მიმართ.

ასევე დაიხვეწება საფეხბურთო გუნდებთან მომუშავე მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, გადაისინჯება კლუბების გამგეობის შემადგენლობა. დღეისათვის გამოიცა ბრძანება, რომლის შედეგად შეიცვალა კალენდარულ თამაშებზე მსაჯთა დამნიშნავი კომისია, მეტი ყურადღება მიექცევა ახალგაზრდა მსაჯთა მომზადების საქმეს, სამსაჯო და საინსპექტორო საქმიანობას.

საფეხბურთო კლუბების ინტერესების გათვალისწინებითაა შედგენილი მესამე ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი და ა. შ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე.

№7 აგვისტო 1991

! გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1983-1992 წლები ინვალიდებზე ზრუნვის ათწლეულად გამოაცხადა. საქართველო გვიან ჩაერთო ამ მოძრაობაში, მეტიც, ჩვენში გაერო-ს ამ გადაწყვეტილებაზე ადრე სიტყვასაც არ ძრავდნენ. ათწლეულის დამთავრებამდე წელიწადნახევარი დარჩა. მოდით ჩვენი ინვალიდების სულსა და გულს ერთიანი ძალისხმევით, ერთი ენთუზიაზმით დავამჩნიოთ ზრუნვის კვალი. ათწლეულის მიწურულს სათქმელ-თავმოსაწონი ჩვენც უნდა გვქონდეს.

6:2 ჩვენების სასარგებლოდ

საქართველოს ყრუთა საზოგადოების ფეხბურთელთა ნაკრები მასპინძლობდა საფრანგეთის ქალაქ ვილეურბანის ყრუთა საზოგადოების ნაკრებ გუნდს.

ეს ნაკრები ყრუთა მსოფლიო ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადება, რომელიც 1993 წელს ბულგარეთში ჩატარდება. ქართველ ფეხბურთელებს იმედი აქვთ დამოუკიდებელი გუნდით მიიღებენ მონაწილეობას ამ თამაშებში, რადგან ამგვარი გუნდებს შორის ქართველი სპორტსმენები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ საერთაშორისო მასშტაბით.

დღევანდელ ნაკრებს მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, საბჭოთა ნაკრების ყოფილი წევრი ნოდარ რეხვიაშვილი ხელმძღვანელობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველი ფეხბურთელები დამოუკიდებელი გუნდით არიან მიწვეული იტალიის ქალაქ პალერმოში 1992 წლის მსოფლიო პირველობაზე მინიფეხბურთში ყრუთა შორის.

თამაში, რომელიც ქართველებსა და ფრანგებს შორის გაიმართა 25 აგვისტოს, საინტერესო და უშეღავათო გამოდგა. უკვე მეთხუთმეტე წუთზე დათაშვილის მწვავე გარღვევა ფრანგების კარის აღებით დამთავრდა. ბურთი თავით ჩაჭრა ფრანგთა მეორე ნომერმა გოოზიზო ზენკელიფამ.

ორი წუთის შემდეგ ფრანგმა საუკეთესო თავდამსხმელმა ბერნარდ დიუიემ ეს ბურთი გაქვითა.

ქართველმა ფეხბურთელებმა ამ დღეს საუკეთესოდ ითამაშეს და გამოცდილი ფრანგები დაჯაბნეს, რაც ანგარიშითაც გამოიხატა — 6:2. ჩვენი ბიჭების თამაშით მოხიბლულმა ფრანგებმა ისინი მიიწვიეს საფრანგეთის ყრუთა სპორტული კავშირის იუბილეზე, რომელიც გაისად გაიმართება.

თენგიზ შველიძე

ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში

ადამიანის შესაძლებლობის ზღვარი არაფერში ისე არ იკვეთება, - როგორც სპორტში

გოგა კოხრეიძე! რვალის მკითხველებისათვის უკვე კარგადაა ცნობილი ეს სახელი. მაგრამ ახლახან გოგა კოხრეიძეს მთელი ევროპა გაეცნო.

კარგა ხანია წესად იქცა: მაღალი რანგის სპორტულ ასპარეზობებზე სარბიელი ეთმობა ინვალიდებსაც. ასე იყო სეულის ოლიმპიადაზე, ასე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე.

გოგა კოხრეიძე სპორტის მრავალმილიონიან აუდიტორიას ტელეეკრანით შეხვდა, მაგრამ ფოთში წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატზე მოსულმა ათიათასობით მაყურებელმა ეს მტკიცე ხასიათის სპორტსმენი, როგორც იტყვიან, საკუთარი თვალით იხილა. გოგა ერთადერთი ინვალიდი გახლდათ, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ჩააბარა ჭეშმარიტი სიმამაცის გამოცდა.

... ყველაფერი მოგვარდა, — გვახარა ერთ დღეს რედაქციაში გოგი ნიჟარაძემ — ინვალიდთა სპორტული ფედერაციის კომერციულმა დირექტორმა. მოსაგვარებელი კი ბევრი რამ იყო: წყალთხილამურის შექმნა და მორგება, კატარღის გამოყოფა, ვარჯიში, ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის ნებართვის მიღება... კეთილი ადამიანების თანადგომით ყველაფერი მოგვარდა. ინვალიდთა სპორტული ფედერაციის შუამდგომლობას ყველგან გაგებით ეკიდებოდნენ.

... გოგი კოხრეიძის - გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე სენსაციად აღიქვეს მაყურებლებმა. ინვალიდებისათვის სპორტის ბევრი სახეობაა ხელმისაწვდომი, მაგრამ წყალსათხილამურო სპორტზე ამას ვერ ვიტყვით. საქმე მარტო მის ელიტარობაში როდია, ძალზე სპეციფიკურია და რთული, აღარაფერს ვამბობთ საწვრთნო პირობებსა და ტექნიკურ მხარეზე. და მაინც, თავიდათავი მაინც ნებისყოფა და რისკია თვით სპორტსმენისა.

გოგამ საკუთარ თავს აჯობაო რომ ვთქვათ, ეს ცოტაა. სპორტის დამსახურება კაცობრიობის წინაშე ხომ ისიცაა, რომ იგი მეცნიერების მრავალ დარგს ხელს უწყობს წინსვლაში. ადამიანის შესაძლებლობის ზღვარი არაფერში ისე არ იკვეთება, როგორც სპორტში, სპორტია კანონმდებელი. გოგა კოხრეიძემ მხოლოდ საკუთარ თავზე როდი გაიმარჯვა, მრავალ ინვალიდს განუმტკიცა რწმენა და ჩაუსახა იმედი იმისა, რომ თუ ადამიანი მოინდომებს, არაფერია შეუძლებელი. გოგა პირველი სპორტსმენია საქართველოში, რომელიც ინვალიდთაგან წყლის თხილამურებზე დადგა და სპორტის ამ სახეობაში ინვალიდ სპორტსმენთა შესაძლებლობის ზღვარი დაადგინა, ზღვარი, რომელიც მომავალში ვინ იცის სად წავა და რამდენჯერ წაიწევს წინ. მთავარია პირველი კვალი გაივლო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით გოგა კოხრეიძეს გამოჩენილი მამაცობისათვის ორი ათასი მანეთი გამოეყო ჯილდოდ. ამ ცნობას ოვაციით შეხვდა ფოთში ევროპის ჩემპიონატზე შეკრებილი სპორტის. მრავალი ათასი გულშემატკივარი.

თენგიზ თომაშვილი

იქნებ...

სტადიონიდან ბენზინის გასამართ სადგურამდე და პირიქით

გაზეთის წინა ნომერში წავიკითხე, რომ იქმნებოდა ახალი რუბრიკა — „იქნებ...“, რომლითაც გამოქვეყნდებოდა მასალები, უფრო ზუსტად შენიშვნები თუ წინადადებები ინვალიდთა მოუგვარებელ საკითხებთან დაკავშირებით, რათა მივაქცია იმათი ყურადღება, ვისაც ხელეწიფება ამ პრობლემათა მოგვარება.

ინვალიდებს პრობლემებს რა გამოულევს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ორიოდე მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას, იმათზე, რომელთა მოგვარება, ვფიქრობ, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუკი გულთან ახლოს მიიტანენ ჩვენს სატკივარს.

თბილისში არსებობს არმიის სპორტული კლუბის სტადიონი, რომელიც დღეისათვის მიტოვებულია და უმოქმედო. ამ სტადიონმა იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ ადვილი მისადგომია და ინვალიდებისათვის დამატებით დაბრკოლებას არ შექმნის. ამ სტადიონის თაობაზე ადრეც მივმართეთ სათანადო ორგანოებს, მაგრამ ამაოდ. ახლა კვლავ გაგვიჩნდა იმედი ამ საკითხის მოგვარებისა, რადგან უკვე გვყავს ეროვნული, ნამდვილად ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, რომელიც გულმხურვალედ ეკიდება ყველა სასიკეთო საქმეს.

ამას გარდა, იქნებ მოხერხდეს თბილისში პატარა მექანიკური სახელოსნოს გახსნა, სადაც შეგვეძლება ეტლის შეკეთება-გადაკეთებისათვის საჭირო დეტალების შეკვეთა და სხვა წვრილმანი სამუშაოების შესრულება.

და კიდევ ერთი. ახლა, როცა ასე გაძნელდა ბენზინის შოვნა და გახშირდა რიგები ბენზინის გასამართ სადგურებთან, კიდევ უფრო გაგვიჭირდა ინვალიდებს. რიგში დგომით გაბეზრებულ ადამიანებს ვერ მოსთხოვ, რომ შეღავათი გაგვიწიონ. ამიტომაც გამოვხატავ ყველა მანქანიანი ინვალიდის სურვილს, ვთხოვ შესაბამის ორგანიზაციებს, რომ მოხერხდეს თბილისსა და სხვა დიდ ქალაქ[illegible] მანქანის გასამართ სადგურებზე ერთი ავზი გამოიყოს სპეციალურად ინვალიდებისათვის და მასზე გაკეთდეს შესაბამისი მიმანიშნებელი ნიშანი.

თემურ დათუაშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კომისიის უფროსი ინჟინერი, პირველი ჯგუფის ინვალიდი.

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის გაზეთი. „ლელოს“ დეკადური დამატება

მკურნალი ცხენი და სხვა

თბილისში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტთან უკვე კარგა ხანია არსებობს რეაბილიტაციისა და რაითერაპიის ცენტრი და შედეგებიც თვალსაჩინო აქვთ. ამ ცენტრისა და ამავე ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის მუშაობაზე მოგვითხრობს კათედრის გამგე, ბატონი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲬᲕᲔᲠᲐᲕᲐ.

— ჩვენს ინსტიტუტთან შექმნილი რეაბილიტაციისა და რაითერაპიის ცენტრი ამ სახის პირველი დაწესებულება იყო საბჭოთა კავშირში. რაითერაპია არის სამკურნალო ფიზკულტურის ახალი ფორმა, რომელიც კურნავს რიგ დაავადებებს. მათ შორის გულ-სისხლძარღვთა, უროლოგიურ, ნერვულ, ფსიქიატრიულ დაავადებებს. გამოიყენება ქირურგიული ოპერაციების შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით ეფექტურია ორთოპედიული დაავადების, კერძოდ, ხერხემლის გამრუდების დროს. და რაც ძალზე არსებითია, რაითერაპია იძლევა ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაციის დიდ შესაძლებლობებს და ამ თვალსაზრისით ფართოდაც გამოიყენება ევროპის მრავალ ქვეყანაში.

აი, რაითერაპიის ამ შესაძლებლობებს ვეფუძნებოდით, როდესაც ვაყალიბებდით რეაბილიტაციისა და რაითერაპიის ცენტრს. ამჯერად ჩვენთან უმეტესად ხერხემლის გამრუდებით და ცერებრალური დამბლით დაავადებულები დადიან და ზოგიერთ შემთხვევაში ეფექტი ისეთი დიდია, რომ შეიძლება ითქვას, მთლიანად ინკურნება ავადმყოფი. კვალიფიციური სპეციალისტები ავარჯიშებენ ავადმყოფებს. ეს კომპლექსური მკურნალობაა. რაითერაპიის გარდა ტარდება სამკურნალო ტანვარჯიში, აღმოსავლური ანუ წერტილოვანი მასაჟი, რეფლექსო და კლასიკური მასაჟები...

— რაითერაპიის განსაკუთრებულ ეფექტზე უკვე თქვენი ცენტრის მუშაობის შედეგების მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა. ერთი შეხედვით კი დაუჯერებელია, რომ ასეთ ეფექტს იძლევა ცხენზე ჯდომა. იქნებ, ფართო მკითხველისათვის გასაგებად გვითხრათ, რა ხდება?

— ცერებრალური დამბლის ჰიპერკინეზული ფორმის დროს ავადმყოფს აქვს უნებლიე მოძრაობები. ცხენზე ჯდომით გამოწვეული მუდმივი დაძაბულობა კი აღაგზნებს შეკავების ცენტრს და ასე ვთქვათ, აიძულებს მას იმუშაოს. 1975 წელს ლონდონში გაიმართა რაითერაპიისადმი მიძღვნილი კონგრესი, სადაც იდგა საკითხი ცხენის შერჩევისა და მისი მომზადებისა რაითერაპიაში გამოყენებისათვის. ყველა ცხენი როდია მკურნალი, არც ყველა ავადმყოფთან შეიძლება ერთი და იგივე ცხენის გამოყენება... ჩვენს ინსტიტუტში შევქმენით აპარატი, რომელიც დისტანციურად განსაზღვრავს ცხენის რხევებს. ეს რხევები სხვადასხვანაირია სხვადასხვა სიჩქარესა და სხვადასხვა ცხენზე და საჭიროა მათი მისადაგება თითოეული ავადმყოფის ხასიათისა და დიაგნოზისადმი. ამ აპარატით ძალიან დაინტერესდნენ ამერიკელები. მათი სურვილია, რომ რაითერაპიის მსოფლიო ცენტრი თბილისში იყოს... ჩვენს ინსტიტუტში საქართველოს რამდენიმე ქალაქიდან კი იყვნენ მოვლინებული ექიმები ამ დარგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ ჯერჯერობით იქ ამ მიმართულებით საქმე არ დაძრულა.

იცით რა, ჩვენ გვავიწყდება ავადმყოფობის პროფილაქტიკა, გვავიწყდება, რომ მანამდე უნდა მიხედო თავს, ვიდრე ავად გახდებით. ამას დიდ ყურადღებას აქცევენ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ამერიკასა და იაპონიაში. ჩვენ ვერც ურეკის სასწაულმოქმედ მაგნიტურ ქვიშას ვიყენებთ სათანადოდ. არადა იგი ძალზე სასიკეთო გავლენას ახდენს სკოლიოზითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებზე. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ჩვენი ბავშვების 47%-ს ემუქრება სკოლიოზით დაავადების საფრთხე. სკოლიოზი მხოლოდ ფიზიკურად გამოკვეთილი ნაკლი ქი არ არის, არამედ ნაადრევი ავადმყოფობა, ნაადრევი სიბერე, საბოლოო ჯამში კი — ერის დაკნინება.

— რამდენად შესაძლებელია რაითერაპიის გამოყენება ინვალიდთა სპორტის განვითარებისათვის?

— მე, როგორც ექიმს, ინვალიდთა სპორტი იმგვარად მესახება, რომ ყველა ინვალიდს შევურჩიოთ თავისი სპორტის სახეობა. ჯერ ზოგადი დებულება კი არ შევადგინოთ ამა თუ იმ სახეობაში სპორტული შეჯიბრებების მოსაწყობად, არამედ ჯერ შევადგინოთ ჯგუფი და მერე მივუსადაგოთ დებულება ამ ჯგუფის თავისებურებებს. თუ არის შეჯიბრის მომენტი, ესე იგი არის სპორტის ელემენტიც და ეს უკვე საკმარისია. თორემ ინვალიდთა სპორტი ლამის რჩეულთა სპორტად გადაიქცეს. მიზანი ის კი არ არის, რომ ჩვენმა ინვალიდმა ფრანგ ინვალიდს მოუგოს, არამედ ის, რომ მან სრულფასოვან ადამიანად იგრძნოს თავი. შეჯიბრის მომენტით შეიქმნება შესაბამისი ემოციური ფონიც, რომელიც ძალზე სასიკეთო გავლენას ახდენს ინვალიდის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ინვალიდთა სპორტის უმთავრეს სიკეთედ მე სწორედ ამგვარი ემოციური ფონის შექმნის უნარი მიმაჩნია.

— ბატონო დიმიტრი, რეაბილიტაციისა და რაითერაპიის ცენტრი სამეურნეო ანგარიშზეა. ჩვენი დღევანდელი გაჭირვების ფონზე სახელმწიფო დოტაციაზე ოცნებაც კი შეუძლებელია. ბევრი ინვალიდი უსასყიდლოდ მეცადინეობს. როგორ ართმევთ თავს ისეთ „პროზაულ“ საქმეებს, როგორიც არის თივის შოვნა ცხენების გამოსაკვებად, როცა ფასები თითქმის გაოთხმაგდა, ამის გარდა მოსამსახურე პერსონალის შენახვას და ა.შ.

— ეს მართლაც პრობლემაა ჩვენთვის. რა თქმა უნდა, სპონსორებზე უარს არ ვიტყვით, მაგრამ ასეთი ფორმაც მოვიფიქრეთ: იმ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, სადაც სწავლობენ ან მუშაობენ ეს ინვალიდები, ან სადაც მუშაობენ მათი მშობლები, გადაიხადონ მკურნალობის საფასური ჩატარებული სეანსების რაოდენობის მიხედვით. ეს თითქმის სიმბოლური საფასურია და დიდ ტვირთად არ დააწვება მათ. ჩვენთვისაც ხელსაყრელია, რადგან ყველასათვის თვალნათელი იქნება, თუ რაზე დაიხარჯა მათ მიერ შემოწირული თანხა და მითქმა-მოთქმის საბაბიც აღარ იქნება.

— ბატონო დიმიტრი, ჩვენს გაზეთს ერთი წინადადება აქვს, არ ვიცი, თქვენ რამდენად გექნებათ ამის საშუალება, თუმცა ამ საკითხის მოგვარება მარტო თქვენზე არ არის დამოკიდებული... გვინდა, რომ თქვენს კათედრასთან არსებულ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ კოოპერატივ „პულსშიც“ შეიქმნას ერთი ჯგუფი მაინც ინვალიდების ჯანმრთელობის აღდგენისა და გაკაჟების მიზნით... საზღაურის გადახდა კი ალბათ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უნდა ეთხოვოს...

— ჩვენთან ყოველგვარი პირობაა ამ საკითხის მოსაგვარებლად. გვაქვს დიაგნოსტიკური ლაბორატორიები, მოწყობილობები, საუნა. ვატარებთ მრავალგვარ სამკურნალო მასაჟს...

ერთი სიტყვით, ჩვენ ხელგაშლილნი შევხვდებით იმ ინვალიდებს, რომლებიც ჩვენთან მოსვლას მოისურვებენ. ახლა ჯერი სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროზეა.

— გმადლობთ, ბატონო დიმიტრი, ასეთი გულითადობისათვის. ვფიქრობთ, არც სხვა შესაბამისი დაწესებულებები დაინანებენ ინვალიდებისათვის მცირეოდენ სიხარულს.

ბატონმა დიმიტრი წვერავამ და „მისი“ კათედრის თანამშრომლებმა სხვაგვარი დახმარებაც აღგვითქვეს-ისინი ჩვენი გაზეთის ყოველი ნომრისათვის მოგვაწვდიან საგაზეთო მასალას ინვალიდთა რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით. პირველ წერილს ამ ციკლიდან ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘ

უცხოეთის გამოცდილება

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

* * *

XVII საუკუნის დასაწყისიდან მოქმედებს კანონი, რომელიც ითვალისწინებს უმწეო ადამიანთა დახმარებას.

* * *

XVIII საუკუნეში კერძო პირთა ინიციატივით შეიქმნა სპეციალური სკოლები უსინათლოთა და ყრუთათვის. გავიდა 100 წელი და ასეთი სკოლები სახელმწიფომაც გახსნა.

* * *

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ინვალიდთა შრომისუნარიანობის აღსადგენად დაიწყეს საგანგებო მკურნალობა. 1948 წლიდან კი შემოღებულია უფასო მკურნალობა ყველასთვის, ვისაც შრომისუნარიანობის აღდგენა ესაჭიროება.

* * *

ყველა შრომისუუნარო დახმარებას უპირატესად იღებს სახელმწიფოსგან ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროების მეშვეობით. სახსრებს იძლევა აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ცალკეული უწყებები.

* * *

ინვალიდებისთვის, რომლებსაც თავად არ ძალუძთ გაკეთება, საჭმელი გამზადებული მიაქვთ ბინაზე. ინვალიდები უზრუნველყოფილნი არიან აგრეთვე სატრანსპორტო მომსახურებით, როცა მათ ესაჭიროებათ სამედიცინო შემოწმება ან მოისურვებენ ეწვიონ ინვალიდების გასართობ სპეციალურ ცენტრს.

* * *

ორსულობის პერიოდში ქალებს უტარებენ საგანგებო გამოკვლევას. თუ დადგინდა, რომ ნაყოფი არანორმალურად ვითარდება, რამაც შეიძლება შემდგომში დაინვალიდება გამოიწვიოს, დედა თავად წყვეტს აბორტის საკითხს.

* * *

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინვალიდთა საცხოვრებელი ბინების ტექნიკურ აღჭურვას. ინვალიდთა ბინებში კარები განიერია, რათა ინვალიდმა ეტლით თავისუფლად იმოძრაოს, კიბეებიც საგანგებოა, მოაჯირიც, აბაზანებს აყენებენ პირველ სართულზე. გადაკეთებულია ელექტროამომრთველები, მოსახერხებელია აგრეთვე კარებების სახელურები...

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

მოქმედებს კანონი „ინვალიდთა შრომითი მოწყობის შესახებ“. ეს კანონი, რომელიც გფრ-მა შემოიღო 1974 წელს, სახელმწიფო და კერძო ფირმებს ავალდებულებს სამუშაო ადგილის საერთო რაოდენობის ექვსი პროცენტი დაუთმონ ინვალიდებს. თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, ფირმა ვალდებულია სახელმწიფოს ყოველთვიურად გადაუხადოს იმდენი 150 მარკა, რამდენი ადგილიც არ გამოუყო ინვალიდს სავალდებულო ექვსი პროცენტიდან. პოლიტიკური პარტიები დაჟინებით მოითხოვენ გაიზარდოს, თუნდაც გაორმაგდეს „ჯარიმა“.

ინვალიდთა სამუშაოზე მიღება კონკურსით ხდება. ცხადია, არჩევენ ისეთს, რომელიც ყველაზე უკეთ ფლობს პროფესიას.

ᲡᲘᲥᲕᲔᲚᲔ – ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘ...

სიქველე უძველესი, ბიბლიური ცნებაა. ღმერთმა „შვიდნი მოწყალებათა საქმენი ხორციელნი“ ჩაგვაგონა: ჭმევა მშიერთა, სმევა მწყურვალთა, შემოსვა შიშველთა, შეწყნარება უცხოთა, მოკითხვა სნეულთა, მიხედვა პატიმართა, დაფლვა მიცვალებულთა.

იყო დრო, როცა ადამიანის ცხოვრება (მეფისა თუ მდაბიოსი) მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი კრიტერიუმებით ფასდებოდა. აი, სწორედ მაშინ სიქველეც იყო ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი გამოჩინებულობისა. მეფეები [illegible] ყოველ სახალხო დღესასწაულზე გლახაკთა განკითხვის აუცილებელი რიტუალით იწყებდნენ ან ამთავრებდნენ (ამის კლასიკური მაგალითები მრავლად შემოგვინახა ისტორიამ თუ ლიტერატურამ. რად ღირს თუნდაც „ვეფხისტყაოსანი“.)

სიქველეც, ისევე როგორც ლოცვა, ჩვენი სულის განსაწმენდელია, მაგრამ იგულისხმება სიქველე ჭეშმარიტი, უანგარო და გაუხმაურებელი. გავიხსენოთ რას გვარიგებს ანტონ ღვთისმეტყველი: „თუკი შექებას დაგიწყებენ შენს ქველის საქმეთა გამო, ნუ გაიხარებ ამისათვის და ნუ დასტკბები; დამალე ხოლმე შენი ქველის საქმენი, რამდენადაც შეგიძლია და ნებას ნუ მისცემ ვინმეს ილაპარაკოს მათს გამო“...

დღეს კი რა ხდება? დღევანდელი ჩვენი სიქველე, რომელსაც რატომღაც „ქველმოქმედება“ შევარქვით („სიქველე“ უფრო მეტის მომცველია...) მართლაც რომ ერთაზროვან „მოქმედებად“ იქცა — მოჭარბებულ ფულს ვრიცხავთ მრავალთაგან ერთს რომელსამე ფონდში და ამის შესახებ სასწრაფოდ ვაცნობებთ პრესასა და ტელევიზიას, რათა ფართოდ გახმაურდეს ჩვენი „კეთილშობილება“ ამბავი. მოძმისათვის უკანასკნელ პერანგს აღარავინ იხდის. სიქველე ლამის რეკლამის, განდიდების წყაროდ იქცეს და არც ისაა დასამალი, რომ დღევანდელი „ქველმოქმედებით“ ზოგი ხელსაც კარგად ითბობს...

არადა, სიქველე და სათნოება სულის მოთხოვნილებაა. მთავარია, არ ჩავკლათ იგი. გავიხსენოთ ისევ ანტონ დიდის სიტყვები: „ამრიგად, ძნელი საქმე არ არის ეს — კეთილის ქმნა, რადგანაც თუკი იმგვარად ვიქნებით, როგორადაც ღმერთმა შეგვქმნა, მაშინ სათნონი და კეთილნი ვიქნებით. ხოლო თუკი ბოროტი ზრახვებითა და ფიქრით ალვივსებით, სამართლიანად გვმხილენ, ბოროტნი ხართო. ჩვენს გარეთ რომ ყოფილიყო საჭირო სათნოების მოპოვება, მაშინ, რასაკვირველია, ეს საძნელო საქმე იქნებოდა. მაგრამ რაკი ჩვენში ყოფილა კეთილ საქმეთა წყარო, ამიტომ მხოლოდ იმას უნდა ვეცადოთ, ბოროტი ზრახვა არ გავივლოთ გულში და წმინდად დავიცვათ თავი ჩვენი უფლისათვის, ნიშნად იმისა, რომ თვით სულიც მისგან მიგვილია. და უფალი, როცა იხილავს მას, თავის ქმნილებად აღიარებს და იტყვის — ისეთია, როგორც მე დავბადეო“.

მიმოვიხედოთ, უამრავი გაჭირვებული ადამიანია ჩვენს გვერდით. ზოგს მატერიალურად უჭირს, ზოგი სნეულია, ზოგი- ინვალიდი, ზოგს ტრავმა მიუღია... ნუ დავიშურებთ მათთვის ჩვეულებრივ ადამიანურ თანაგრძნობას. სიტყვით მაინც ვანუგეშოთ, თუ მეტი არა შეგვიძლია რა. გაიხსენეთ, მთელს მსოფლიოში ცნობილი დედა ტერეზას ორდენი - კეთილ საქმეთა მოქმედი დების ორდენი, რომლის მთავარი კრედოც სწორედ უანგარობაა. ასეთი ორდენი საქართველოშიც გვჭირდება, რადგანაც ქართული ხასიათის მთავარი შტრიხიც ხომ სიქველეა. ეს ჩვენს გენეტიკურ კოდშია ჩადებული. ეგ არის, რომ დღეს რაღაც მანკიერი სენი შეერია, რომლის განკურნებაც ძნელი არ არის, თუ ღვთიურად ვიცხოვრებთ. შემთხვევითი არ არის ერთ-ერთი ჭეშმარიტად საქველმოქმედო საზოგადოების სახელწოდება — „კათარზისი“. სიკეთე და სიქველე ჩვენი განსაწმენდელია ამქვეყნიურ ცოდვათაგან. ისინი პირველ რიგში ჩვენთვის არის საჭირო და მერეღა ჩვენ გაჭირვებულ მოძმეთათვის.

უდიდესი მოვლენაა თბილისში სათნოების სახლის გახსნა. იგი უნდა იქცეს გაჭირვებულთა ნამდვილ, საიმედო თავშესაფარად, სადაც თითოეულ ჩვენგანს შეეძლება თავისი სათნოების გამომჟღავნება დავრდომილთა მოვლითა თუ გაჭირვებულთა მატერიალური დახმარებით. მაგრამ ერთი სათნოების სახლი რას გასწვდება საქართველოს გაჭირვებას. უკანასკნელმა წლებმა ხომ ლამის გაალატაკა ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ახლა ყველამ თავის მოძმეს უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი, თავის გვერდში მყოფს, თავის ნაცნობს. ეს იქნება ჭეშმარიტი სიქველე და არა ის, როცა რომელიმე ფონდში დიდ თანხას ვრიცხავთ და გაჭირვებულ მეზობელს კი ყოველ დილით თვალს ვარიდებთ, თითქოსდა ვერც ვხედავდეთ მის გაჭირვებას...

გვახსოვდეს: ჭმევა მშიერთა, სმევა მწყურვალთა, შემოსვა შიშველთა, შეწყნარება უცხოთა, მოკითხვა სნეულთა, მიხედვა პატიმართა, დაფლვა მიცვალებულთა...

ᲗᲘᲜᲐ ᲑᲣᲭᲣᲙᲣᲠᲘ

ძლევაი საკვირველი

ფენიქსი

ხტება მიხეილ გავა (საქართველო)!

— გამოაცხადა დიქტორმა და ბაკურიანის 70-მეტრიანი ტრამპლინის ირგვლივ თავშეყრილ მაყურებელთა შორის ტაშმა იქუხა.

— ამიხსენით, გეთაყვა, — მიმართა ერთ ახალგაზრდას რუსეთიდან ჩამოსულმა სტუმარმა, — ეს რომელი მიშა გავაა? მე კარგად მახსოვს ასეთი გვარისა და სახელის სპორტსმენი, რომელმაც 40-იან წლებში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, მაგრამ იგი სწრაფდაშვებაში მონაწილეობდა.

— არა, პატივცემულო, — განუმარტა ახალგაზრდამ, — ის მიშა მალე სამოცს მიაღწევს და ამჟამად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობს პედაგოგად, ეს კი მისი ბიძაშვილია, ტრამპლინიდან მხტომელი, ჩვენი სახელოვანი კობა წაქაძის მემკვიდრე!

ტაში არ ცხრებოდა. სტუმარს აშკარად გადაჭარბებულად მოეჩვენა ეს ოვაცია. ჯერ გადახტეს, დაიმსახურონ და შემდეგ რამდენიც უნდათ, იმდენი ვაშა იძახონო, ფიქრობდა იგი. მაგრამ მან ის არ იცოდა, რომ ტაში ეკუთვნოდა... მკვდრეთით აღმდგარ სპორტსმენს.

თუმცა მოდით, ჯერ გავიხსენოთ 1968 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ კლინგელტალში მომხდარი ტრაგედია:

წინა დღეს ტრამპლინიდან მხტომელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა. მიშამ მესამე ადგილი დაიკავა. მეორე დღეს პრიზიორთა საჩვენებელი გამოსვლები გაიმართა. პირველი ნახტომი მიშას უნდა შეესრულებინა. კიბეზე ამავალმა მიშამ შენიშნა, რომ ტრამპლინი არ იყო სათანადოდ მომზადებული, ახტომისა და მომდევნო სრიალის ადგილზე ფიცხი არ გაეტარებინათ. არა უშავს რა, შორს გადახტომას არ შევეცდები და ხიფათსაც ავიცილებო, თავი დაიმშვიდა მიშამ.

მისცეს ნიშანი. დინჯად დასრიალდა ტრამპლინზე, არეკნისას მაინცდამაინც დიდი ძალა არ მიუყენებია მუხლებისათვის, განახორციელა ფრენა და დაშვებისას მიხვდა, რომ სწორად არ შეაფასა ტრამპლინის მომვლელთა დაუდევრობით მოსალოდნელი შედეგი. დაშვებისთანავე დაუფიცხავმა ზედაპირმა პასუხი არ დააყოვნა: თხილამურები წამსვე ასოთხმოცი გრადუსით შეტრიალდა, ერთხანს სპორტსმენი უკუსვლით გააქანა, შემდეგ მარცხენა თხილამურის უკანა ნაწილი თოვლში ჩაერჭო, დამუხრუჭდა და მიშა სწრაფი მატარებლიდან უეცრად გადავარდნილი მგზავრივით ჰაერში რამდენჯერმე შეტრიალდა, ზედაპირს დაენარცხა და, უკვე გრძნობადაკარგული, თხილამურების ნამსხვრევებთან ერთად ბარიერს შეასკდა.

იგი სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს საავადმყოფოში. მხოლოდ მეორე დილით მოვიდა გონს. ერთი თვის შემდეგ კი მოსკოვში გადააფრინეს და პროფესორ ბაშკიროვის კლინიკაში მოათავსეს. ბაშკიროვმა გადარჩენა მიულოცა მიშას, მარტო სპორტსმენი თუ „გამოძვრებოდა" ასეთი მდგომარეობიდანო. ნამდვილი სათქმელი კი დაუმალა — კონსილიუმმა მარცხენა ფეხის ამპუტაცია დაადგინა. მარცხენა მუხლის სახსარი ისე იყო დამსხვრეული, მისი შეკოწიწება ყველამ შეუძლებლად მიიჩნია.

ერთი კვირის თავზე ყველაფერი გაუმხილეს, ოპერაციის დაგვიანება აღარ შეიძლებოდა.

„ნუთუ დამთავრდა ყველაფერი", ფიქრობდა ელდანაცემი მიშა და თავისდაუნებურად იხსენებდა იმ სპორტულ გზას, რომელსაც სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა: პირველად ტრამპლინიდან გადახტომა ქუკური ფანჩაკიძემ გაბედინა 1959 წელს, ორი წლის შემდეგ რესპუბლიკის ჭაბუკთა ჩემპიონი გახდა 25-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, მესამე წელს პოლონეთში სამი ტრამპლინის ტურნირში მეშვიდე ადგილი დაიკავა, კიდევ ერთი წლის შემდეგ ოსტატის წოდება მიაკუთვნეს, 1967 წელს საკავშირო პირველობაზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, წინ მხოლოდ ცნობილი მხტომელები ვიქტორ კროუკოვი და გარი ნაპალკოვი გაუშვა. დაიწყო დიდი სპორტის საინტერესო გზა. და აი, 1968 წელს ყველაფერს წერტილი დაესვა.

ფეხის ამპუტაციაზე სასტიკი უარი განაცხადა, სიკვდილი მირჩევნიაო. ბოლოს ისევ ბაშკიროვმა იკისრა ოპერაცია, თუმცა პაციენტი გააფრთხილა, მუხლი მაინც არ იმუშავებს, უკეთეს შემთხვევაში ყავარჯნის მაგივრობას თუ გაგიწევსო.

ბაშკიროვმა ურთულესი ოპერაცია განახორციელა. როცა მიშა საავადმყოფოდან გამოწერეს, მან სიტყვა დაადევნა: გახსოვდეს, ჩემი მიზანი ფეხის გადარჩენა იყო, უფრო მეტის იმედი არ მქონდა და ნურც შენ გექნებაო. შეიძლება მუხლი ოდნავ მოხარო, მაგრამ ამისათვის არაადამიანური ტკივილების გამომწვევი მოძრაობების შესრულება დაგჭირდება. გააფრთხილა, მუხლი არ გადატვირთო, თორემ შეიძლება ფეხი მართლაც მოსაკვეთი გახდეს, მაშინ კი ვერაფერი გიშველისო.

დაიწყო ფიზიკური და სულიერი ტკივილების მძიმე პერიოდი. დღეში სამჯერ სიმწრის ოფლი სდიოდა, როცა გაქვავებული მუხლის სახსარს ძალას ატანდა და მოხრას აიძულებდა. რამდენჯერმე ტკივილმა შოკამდე მიიყვანა. ასე გრძელდებოდა მთელი წელიწადი.

ორი წლის შემდეგ ტკივილმა იკლო, მაგრამ ახლა იმატა ახალმა სურვილმა: რა იქნება იქამდე შევძლო, რომ თხილამურებზე შევდგე. მხოლოდ შევდგე და ორიოდ მეტრზე გავსრიალდე, — ფიქრობდა. შემდეგ ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგა ბიძაშვილების სერგო გავასა და გოგი მიქაბერიძის დახმარებით. შექმნა ტრენაჟორი, რომელზეც ყოველდღიურად ასრულებდა სპეციალურ ვარჯიშებს. სამი თვის შემდეგ დატვირთვა არასაკმარისად მიიჩნია და ერთი შეხედვით პრიმიტიულ, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, სწორ ხერხს მიმართა: მარცხენა ფეხის კი იკიდებდა სამკილოგრამიან საწონს და ასრულებდა მუხლის სახსარში მოხრა-გაშლას (ეს არ იყო დილეტანტის გაუაზრებელი მოქმედება. მიშას საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და კარგად ერკვეოდა ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, სამკურნალო ფიზკულტურაში, გარდა ამისა, როდესაც ბაშკიროვმა შეიტყო მიშას ჯიუტობის ამბავი, სისტემატურად უგზავნიდა წერილებს საჭირო კონსულტაციებით).

მაგრამ ეს ყველაფერი უდიდეს მოთმინებას, ამტანობასა და პუნქტუალობას მოითხოვდა, მოითხოვდა საყვარელი საქმისადმი ფანატიკურ სიყვარულსა და ერთგულებას.

და აი, 1970 წლის ზამთრის დამდეგს პირველად გაისეირნა თხილამურებით, სეზონის ბოლოს კი პირველად გადახტა მის მიერვე შეკოწიწებული ტრამპლინიდან. დღისით ხალხს ერიდებოდა და მხოლოდ ღამღამობით ვარჯიშობდა.

პირველი ოფიციალური ნახტომი ერთ-ერთ შეჯიბრებაზე 1971 წელს განახორციელა და 40 მეტრი გადალახა.

ოცნებას საზღვარი არა აქვსო, ნათქვამია, და მიშას ფიქრიც უკვე დიდ სპორტს გადასწვდა. რესპუბლიკის ნაკრებში მოხვედრა და საკავშირო პირველობაში გამოსვლა იყო ამ დიდი მიზნის პირველი საფეხური. განახორციელა კიდეც 1971 წელს ტალინის ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მეშვიდე ადგილი დაიკავა (მთლიანად კიდევ ვერ ატანდა ძალას მარცხენა ფეხს). იმავე წელს კიროვსკში „ჩრდილოეთის დღესასწაულის" ჩემპიონი გახდა. 1972 წელს ისევ იმ საბედისწერო ქალაქ კლინგელტალს ესტუმრა და საჩვენებელ გამოსვლაში იასპარეზა. ასე თანდათანობით უახლოვდებოდა მიშა სანუკვარ მიზანს.

და აი, 1974 წელიც, საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადა ბაკურიანში...

— ნახტომს ასრულებს მიშა გავა (საქართველო)! — ხელახლა გამოაცხადა დიქტორმა, როდესაც ტაში მინელდა.

მიშა ტრამპლინიდან დაეშვა, თან ელვის სისწრაფით ანგარიშობდა — ყველაზე კარგი შედეგი ნაპალკოვმა და სუსლიკოვმა უჩვენეს — 81 და 82 მეტრი, არ უნდა ჩამოვრჩე, არ უნდა ჩამოვრჩე... არეკნი, ფრენა საუკეთესო სტილში, დაშვება თანაბრად ორივე ფეხზე და შედეგი — 81 მეტრი. „ურიგოდ არ მიდის საქმე", გაიფიქრა მიშამ მეორე ნახტომის წინ — ორივე მეტოქემ მეორე ცდაზე აჩვენა 78 მეტრი, ესე იგი, 80 მეტრიც კმარა.

ჯერ ნახტომის წინ იქუხა ტაშმა, მეორედ კი მაშინ, როცა მსაჯებმა გამოაცხადეს მიშას შედეგი — 81 მეტრი! ეს უკვე სპარტაკიადის, ქვეყნის ჩემპიონობასა და 6-წლიანი ოცნების ასრულებას ნიშნავდა...

მე მქონდა ბედნიერება მიშასთან ერთად განმეცადა დიდი სიხარულის ეს წუთები, დაჯილდოების შემდეგ, როცა მეგობრები გარს შემოეხვივნენ, მეც მივულოცე მიშას, მან მადლობა გადამიხადა და გამაცნო ახალგაზრდა ექიმი, მეცნიერებათა კანდიდატი, ბაშკიროვის ასისტენტი.

— ეს განსაცვიფრებელი წუთები იყო, — მითხრა ბაშკიროვის ასისტენტმა, — 80 მეტრზე ვინ არ გადამხტარა და ვინ არ გამხდარა ჩემპიონი, მაგრამ საქმის კურსში ვარ და მხოლოდ სასწაული შემიძლია ვუწოდო ამ მკვდრეთით აღმდგარი სპორტსმენის გამოსვლას. ხომ გახსოვთ ვალერი ბრუმელის გმირობა, მაგრამ მიშა გავას ტრამპლინთან ჰქონდა საქმე, მეგობრებო, ტრამ-პლინ-თან! — დამარცვლა მან.

„ფენიქსი!" — გავიფიქრე იმაში მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ ანტიკური ხანის მეზღაპრეებმა, ალბათ, ასეთი ადამიანების მაგალითებით შექმნეს თქმულება მკვდრეთით აღმდგარ, უკვდავ ფრინველზე.

ავთანდილ ციბაძის წიგნიდან „ქართული სპორტის ქრონიკები". 1984 წ.

ფოტოზე გასაოცარი ფაქტია აღბეჭდილი, თქვენ ხედავთ თუ რა დღეში ჩააგდო პირველი ჯგუფის ინვალიდმა რონ სკენლონმა თავისი ჯანმრთელი მოპაექრე

ვინ არის რონ სკენლონი?

(იხ. მე-4 გვერდი)

ფოტო კომენტარით



ამ სურათზე გამოსახულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მეუღლე ბარბარა ბუში ერთ-ერთი საქველმოქმედო აქციის დროს, თუმცა ამერიკის პირველი ლედისათვის ამგვარი რამ ისეთი ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, ლამის ყოველდღიური საქციელია, რომ აქციას ვერ უწოდებ. ეს უფრო მისი ცხოვრების წესია, რომელიც განსაკუთრებით მას შემდეგ დამკვიდრდა ჯორჯ ბუშის ოჯახში, რაც მცირეწლოვანი ქალიშვილი გარდაიცვალა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ბარბარა ბუში ყოველ შობას და სხვა რელიგიურ დღესასწაულებს უნკურნებელი სენით დაავადებულ ბავშვებთან ატარებს.

და



უკომენტაროდ

რონ სკენლონი

მან 4000-წლოვანი ჩინური ტრადიცია წარმატებით შეუხამა ხეიბრის ეტლის შესაძლებლობებს და კუნ ფუ სან სუს მაგისტრობას მიაღწია.

კალიფორნიის შტატის ქ. ონტარიოს კუნ ფუ სან სუს შემსწავლელთა სტუდიაში ახალბედებს (თეთრქამრიანებს) საშუალება ეძლევათ გაეცნონ გამოცდილ სპორტსმენებს (შავქამრიანებს) და შემდეგ შეერკინონ კიდეც მათ. ამ სტუდიაში გაკვეთილები საკმაოდ რთულია და ყურადღების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვს. ახალმოსულთა გაოცებას იწვევს რონ სკენლონი, რომელიც უძლიერეს შავქამრიანებს ხელმძღვანელობს. სკენლონი ერთ-ერთია იმ ცხრა მაგისტრთაგან, რომლებიც ქ. ონტარიოს სკოლაში გაიწრთვნა. დიდი მაგისტრი ბილ ლეისისტერი აქ 20 წელზე მეტია მუშაობს ინსტრუქტორად და ამ ხნის განმავლობაში ათასობით სპორტსმენის გამოზრდა მოასწრო. მათგან მხოლოდ რამდენიმემ მიაღწია მაგისტრობას, რასაც სულ ცოტა 11 წლის დაუღალავი შრომა ესაჭიროება. 13 წლის განმავლობაში სკენლონსაც უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. არც მას და არც მის ინსტრუქტორს არასოდეს უფიქრიათ შეღავათზე რონის ავადმყოფობის — პარაპლეგიის გამო. ლეისისტერი ასე ახასიათებს თავის სტუდენტს: „რონი სხვებზე უკეთესად თუ არა, უარესად არ ვარჯიშობდა. ხეიბრის ეტლში მჯდომი ზოგჯერ სხვებზე უფრო სწრაფად მოძრაობდა“.

9 წლის იყო რონ სკენლონი, როცა ავტოკატასტროფაში დაშავდა. მას შემდეგ 17 ოპერაცია გაუკეთდა. უბედური შემთხვევის შემდეგ იგი ორთოპედიული ავადმყოფებისათვის განკუთვნილ სკოლაში მიაბარეს. „ცუდი ის იყო — ამბობს სკენლონი, — რომ ნებისმიერი ავადმყოფი ბავშვი, გონებრივი თუ ფიზიკური ნაკლით, ერთ სკოლაში დადიოდა. ჩემი ხეიბრობა იქცა იმის საბაბადაც, რომ მე ჯანმრთელი ბავშვების მსგავსი განათლება ვერ მიმეღო.“ როდესაც სკენლონმა უთხრა დედას, რომ მათემატიკას სამი წლის განმავლობაში ერთი და იგივე წიგნიდან სწავლობდნენ, მათ გადაწყვიტეს ებრძოლათ სრულფასოვანი განათლე[illegible] მისაღებად და მოიგეს კიდეც ეს ბრძოლა. ჩვეულებრივ სკოლაშიც დასჭირდა სკენლონს დაბრკოლებების გადალახვა. „ზოგი ბავშვი დამცინოდა ჩემი ავადმყოფობის გამო“, იხსენებს იგი. მაგრამ სკენლონი, ამას ვერ ითმენდა. „ვარჯიშისა და ეტლის მართვის გამო მე საკმაოდ ღონიერი ვიყავი, ამიტომ ხშირად არც მუშტიკრივს ვერიდებოდი“. ნამდვილ სპორტში მხოლოდ 17 წლისა ჩაება სკენლონი. „ტელევიზორში [illegible] ჯდომი ხეიბა[illegible], რომელ[illegible] კარატეში ვარჯიშობდა და გადავწყვიტე მეც მეცადა“, ამბობს სკენლონი. ამის შემდეგ რონი ბილ ლეისისტერს დაუკავშირდა, რომელსაც სულაც არ გაჰკვირვებია, რომ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანმა სპორტში ჩაბმა მოისურვა. სკენლონი პირველი ნახვისთანავე აღფრთოვანდა ბილ ლეისისტერის ოსტატობით. „ბილს ისეთი სიჩქარე და ძალა აქვს, რომ გაგაოგნებთ“. სკენლონი მიიღეს სკოლაში და ისევე უშეღავათოდ ეპყრობოდნენ, როგორც სხვებს. სულერთია ჯანმრთელია თუ არა, ნებისმიერი დამწყები გრძნობს, რომ მას გარკვეული სისუსტეები გააჩნია, რომელიც უთუოდ უნდა დასძლიოს. ასე რომ, ამ სკოლაში სწავლის დაწყება მისთვის განსაკუთრებულად ძნელი არ ყოფილა. სან სუ თავისუფალ ჭიდაობას ნიშნავს: „მნიშვნელობა არა აქვს დგახარ, ზიხარ თუ წევხარ. ის კი არა, ათასეული წლების განმავლობაში მჯდომარე პოზიციაში ვარჯიშობდნენ, ეს ერთგვარი ტრადიციაც კი არის კუნ ფუში. მე ის „სიახლე“ შევიტანე, რომ ეტლში მჯდარს უნდა მევარჯიშა“.

სკენლონი იშვიათად თუ აცდენდა ვარჯიშს. „ბილის დანახვა ჩემთვის აუცილებელი იყო, რათა მერწმუნა, რომ ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც სხვები, — ამბობს სკენლონი.

ონტარიოს სკოლის სტუდენტები კუნ ფუს დღეში 2 საათზე მეტს უთმობდნენ, სკენლონი კი უფრო დიდ ხანსაც რჩებოდა. „ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ღამე გავათენე წრთვნაში. ეს უკვე სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილება ხდება“.

წრთვნა გულისხმობს ბრძოლას წარმოსახვით მოწინააღმდეგესთან, რასაც მუსიკალური აკომპანიმენტიც ახლავს. ბრძოლა შეიძლება იარაღით ან უიარაღოდ. ტარდება აგრეთვე ე.წ. „გაკვეთილები“ ანუ სწავლობენ თავდაცვის ტექნიკის გამოყენებას უკვე რეალურ მოწინააღმდეგესთან. სტუდენტები ასევე ვარჯიშობენ სიჩქარის, წონასწორობისა და კოორდინაციის გამოსამუშავებლად. მაგრამ სან სუში მთავარი თავისუფალი ჭიდაობაა. ფალავნის მიზანია სწრაფი რეაქცია ნებისმიერ სიტუაციაში. „ჩვენ წარმოსახვით ვქმნით სცენარებს და რეაქციას ვაბდენთ მათ მიხედვით. სხეულისა და გონების გამუდმებული კონტროლი სულ უფრო მეტ დაძაბვას მოითხოვს. ხშირად ტრავმებიც მომსვლია, განაგრძობს სკენლონი, მაგრამ სერიოზული არასოდეს. წრთვნის დროს ეს გარდაუვალია.

სან სუს ათვისება სკენლონისთვის ფსიქოლოგიურადაც საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. იგი არა მარტო თავად უნდა დაუფლებოდა სპორტის ამ სახეობას, არამედ სხვებისთვისაც ესწავლებინა ილეთები, რომლებსაც თვითონ ვერ ასრულებდა. „მე მივხვდი“ — ამბობს იგი, რომ სან სუ უნდა ამეთვისებინა მთლიანად, ასე ვთქვათ, წმინდა სახით და არ ვცდილიყავი მის მისადაგებას ჩემს შესაძლებლობებთან. ამიტომ მომიხდა ყველა იმ ილეთის შესწავლა, რომელსაც მე თვითონ ვერ შევასრულებდი“.

სან სუს სრულყოფილმა ათვისებამ შესაძლებლობა მისცა სკენლონს თავდაცვის ინსტრუქტორი გამხდარიყო, თავდაცვისა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს გამოადგება და არა მხოლოდ ხეიბარს! სკენლონი პროფესიონალად ჩამოყალიბდა. 1986 წლიდან იგი ასწავლის თავდაცვის პროგრამას კალიფორნიის შტატის ქალაქ პომონას კასა კოლინას სარეაბილიტაციო ცენტრში. იგი ასწავლის ტვინის ტრავმის, სისხლის ჩაქცევისა და ხერხემლის დაზიანებების მქონე ავადმყოფებსაც. იგი მოგზაურობს მთელს ამერიკის შეერთებულ შტატებში და გამოცდილებას უზიარებს სხვა ორგანიზაციებს. კასა კოლინას თავდაცვის პროგრამა სთავაზობს ოთხ ინტენსიურ სემინარსა და საჩვენებელ ვარჯიშებს, რაც სამ დღეს გრძელდება და ამ პერიოდში თავდაცვის ელემენტებს შეისწავლიან როგორც ჯანმრთელი, ასევე ხეიბარი ადამიანები. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ინვალიდის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს საკუთარი თავის დაცვა წარმოადგენს. რონ სკენლონი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ხეიბარს ძალუძს გადაჭრას ეს პრობლემა.

სკენლონი დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ მისი სტუდენტები ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ სან სუს თავდაცვის ილეთებს, რადგან მიაჩნია, რომ თავდაცვისას დაშვებული შეცდომა შეიძლება ძვირად დაუჯდეს ჯანმრთელსაც და ინვალიდსაც. სკენლონის სამსახურზე უზარმაზარი მოთხოვნაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 4 მილიონზე მეტი სხვადასხვა სახის თავდასხმა ხდება წელიწადში, ხოლო მსხვერპლთა დიდი ნაწილი ხეიბარია.

სპორტის ამ სახეობას სარეაბილიტაციო თვისებებიც გააჩნია. ყოველივე ამის გამო სკენლონის შრომა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაფასებული. იგი ხშირად გამოდის ტელევიზიით და იბეჭდება როგორც სპეციალურ სამედიცინო, ასევე სხვა სახის ჟურნალებში. ამას წინათ მის შესახებ წერდა კუნ ფუს საერთაშორისო ჟურნალიც.

მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრს მიაღწია 31 წლის ასაკში, იგი მაინც არ თვლის თავს ჩამოყალიბებულ სპეციალისტად. „ჩემი ინსტრუქტორი 50 წლისაა და სულ უფრო სრულყოფს თავის ხელოვნებას. ასევეა მისი 70 წლის ხელმძღვანელიც“.

სკენლონი აფართოებს პროგრამას, ხვეწს თავის ხელოვნებას, რომელიც სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს. თანამშრომლობს ერთ-ერთ ვიდეო კომპანიასთანაც.

სკენლონი თავისი სტუდენტებისათვის მისაბაძი მაგალითია. მასში მოკრძალება და დიდი თავდაჯერება ჰარმონიულადაა შერწყმული. ფიზიკურ ნაკლს ხელი არ შეუშლია მისი წარმატებისათვის. რონ სკენლონი ჯანმრთელ მოწინააღმდეგეებსაც იმორჩილებს და ღირსეულად იმარჯვებს.

რედაქციისაგან: როგორ გვინდა, რომ საქართველოშიც მალე დადგეს ის დრო, როცა გვექნება ანალოგიური სკოლები და საწრთვნელი ბაზები, სადაც ჩვენი ხეიბრები საკუთარ შესაძლებლობებს ირწმუნებენ და უძლეველად იგრძნობენ თავს.

თბილისსაც რომ ესტუმროს...

ხეიბართა კაბარე — ერთი შეხედვით უცნაური იდეაა, არა? გაინტერესებთ, ვის მოუვიდა თავში ასეთი სანახაობის მოწყობა? ეს მოიფიქრეს მიუნხენელმა ინვალიდებმა, რომლებიც არ თვლიან თავს საზოგადოდ მიღებული სიამოვნებისაგან უფლებააყრილად, მეტიც, მათ მიაჩნიათ, რომ სრულფასოვნების შეგრძნება აუცილებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც უიღბლობამ მოსწყვიტა ჩვეულებრივ ცხოვრებას. ასე რომ, თუ ამ თვალით შევხედავთ, უცნაურად სულაც არ მოგვეჩვენება, რომ ინვალიდებმა საკუთარი კაბარე გამართეს.

„ჩვენ ვმღერით, ვცეკვავთ და არაფრით ჩამოვუვარდებით სხვებს“ — ამბობენ მიუნხენელი ინვალიდები.

ისინი მართლაც მომხიბვლელები არიან — მსუბუქ და მოხერხებულ ბორბლებზე მოცეკვავენი ისეთი ლაღები და მხიარ[illegible] [illegible]ურდებათ კიდეც მათი. არა, ამ ადამიანებს ვერასგზით ვერ უწოდებ ცხოვრებისაგან გარიყულებს. ისინი, შეიძლება ითქვას, ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ და ერთი სული აქვთ, მოიხილონ ყველა ქვეყანა, ამ ქვეყნების ხალხებს უჩვენონ თავიანთი ხელოვნება, ყველა ინვალიდს ჩაუნერგონ სიცოცხლის სიყვარული.

ერთ მშვენიერ დღეს მიუნხენის ხეიბართა კაბარე თბილისსაც რომ ესტუმროს, შეძლებენ ჩვენი ინვალიდები სახლიდან გამოსვლას, საკონცერტო დარბაზებამდე მიღწევას, იქ მისულები ავლენ კი კიბეებზე? სანახაობისათვის განკუთვნილი სასახლეების შენების დროს, სამწუხაროდ, არავის გახსენებია ეს ადამიანები...

ინვალიდები არ ჩანან ქუჩაში, მეტროში, თეატრში, საკონცერტო თუ საგამოფენო დარბაზებში...

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია 7 სექტემბერს აწყობს საერთაშორისო ტურნირს ავტორალში. ავტორალში მონაწილეობის მსურველები უნდა გამოცხადდნენ ტურბაზა „ვაკეში“ 5 სექტემბერს, 10 საათიდან.

საქართველოს ინვალიდთა
სპორტული ფედერაცია

თავსატეხი



აქ წარმოდგენილი გამოსაცნობი
თავსატეხი უცილოდ
დააინტერესებს ჩვენს მკითხველს.

აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა
გმირების დასახელებით ისე
შეავსეთ ჰორიზონტალური
გრაფები, რომ ცენტრალურ
ვერტიკალში მიიღოთ მგოსნის
სახელი და გვარი.

შეადგინა პოეტმა **შოთა ხოდაშნელმა.**

იუმორი



— კიდევ რამდენიმე სანტიმეტრი, მეგობრებო, და ჩვენ ფეხს დავადგამთ იქ, სადაც ჯერ კაცს არ აუღწევია.

სარედაქციო
კოლეგია

ჩვენი მისამართია: 380007
ი. მაჩაბლის ქუჩა № 11
ტელეფონები: 93-28-92. 98-13-73. 93-98-75

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით
ქსს გამოთვლით ცენტრში, ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშტარიას ქ. 29

მოვიკიდებთ

(გაგრძელება)

ამასთანავე, სფფ ვერ დაეთანხმება კომისიის დასკვნაში მოტანილ მთელ რიგ შენიშვნებს, კერძოდ — თითქოს სტადიონების სათამაშო მოედნების შემოღობვამ გზა გადაუღობა ქუჩისა და თვითმოქმედი ფეხბურთის განვითარებას. კომისიის შეხედულება, რომ ფედერაცია ხელს უშლის „ეროვნულ კონსოლიდაციას“, უბრალოდ უხერხულია. ის, რომ ყოველი მესამე თამაშის შემდეგ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობა მამასისხლად ემტერება ერთმანეთს, სინამდვილეს არ შეეფერება. ასე რომ იყოს, უბრალო არითმეტიკული გაანგარიშებით ამ ორი წლის პერიოდში მთელი საქართველოს მოსახლეობა უნდა გადაკიდებოდა ერთმანეთს. საინტერესოა თბილისის მოსახლეობა რომელი ქალაქის მოსახლეობაზეა გადამტერებული, ან რუსთავის, გურჯაანის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ბათუმის, სოხუმის, სამტრედიის, ოზურგეთის და ა. შ. ქალაქების მოსახლეობას ვისი ჯინი სჭირს? რამდენიმე სტადიონზე მართლაც გამოვლინდა მაყურებელთა ერთი ნაწილის მხრიდან უღირსი საქციელი, მაგრამ 20-30, გნებავთ 100 ვაიგულშემატკივრის მოქმედებით, არ შეიძლება ქალაქების მთელი მოსახლეობის „მამასისხლად გადამტერებაზე“ ლაპარაკი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მაყურებელთა ხულიგნური საქციელის ასალაგმავად ფედერაციამ დღემდე ვერ მიაგნო ეფექტურ მეთოდს, მაგრამ ჩვენზე უფრო მეტად ეს საქმე ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და მართლწესრიგის დამცავი ორგანოების კომპეტენციაა, რომლებმაც მიუხედავად არაერთგზის. წერილობითი თხოვნისა, არსებითი ხასიათის პრაქტიკული ღონისძიებების გატარება მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში შეძლეს, თუმცა, დღემდე სტადიონზე არცერთი ხულიგანი მაყურებელი არ დაუკავებიათ.

ისიც გვესმის, რომ ამასაც თავისი მიზეზები აქვს.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ კომისიას დაუგროვდა აღებ-მიცემობის, ჩაწყობილი თამაშების ფაქტები, იცნობენ კორუმპირებულ პირებსაც. კარგი იქნებოდა, ასეთი პიროვნებების და ფაქტების შესახებ გეცნობებინათ ფედერაციისათვის, თორემ ასე ზოგადად ლაპარაკი არა გვგონია საქმეს წაადგეს.

ვერ დავეთანხმებით იმ დასკვნას, თითქოს საქართველოში იკლო ფეხბურთისადმი ინტერესმა და საერთო ჯამში სტადიონებზე მაყურებელთა რაოდენობამ, ვინაიდან, ფედერაციას სხვა მონაცემები აქვს.

მეტად უხერხულია აქცენტირება იმაზე, რომ ფეხბურთი „ხალხის ჯიბიდან“, „გლეხის ჯიბიდან“ საზრდოობს, რომ ჩვენ მშრომელ ხალხს ვართმევთ არა თუ იმ ფულს, რომელიც სპორტის სხვა სახეობის განვითარებას უნდა მოხმარდეს, არამედ ჩვენ იმ ხალხსაც ვყვლეფავთ, ვინც მოსავალი უნდა მოიწიოს და ერი გამოკვებოს, ვხარჯავთ თურმე იმ თანხას, რომელიც „საერთო ეროვნულ საქმეს“ უნდა მოხმარდეს.

არასერიოზულად გვეჩვენება ასე მსჯელობა.

დღეს, როდესაც საქართველო ცენტრის ეკონომიკურ ბლოკადაში იმყოფება, უადგილოა იმაზე საუბარი, რომ ფედერაციამ მთლიანად ვერ უზრუნველყო საფეხბურთო კოლექტივები სპორტული ფორმითა და ინვენტარით. ჩვენი გუნდების დიდი უმრავლესობა მაღალხარისხოვანი ფორმითა და ბურთებით თამაშობს, ამაში კი მოკრძალებული წვლილი ფედერაციასაც აქვს შეტანილი და ამ მიმართებით შენიშვნები სავაჭრო ორგანიზაციების მისამართით რომ გამოთქმულიყო, უფრო უპრიანი იქნებოდა.

კომისიის დასკვნაში ასევე გაუგებარია, რა ისეთ რეგიონალურ პირველობაზეა ლაპარაკი, რომელიც ქალაქებისა და რაიონების ჩემპიონებს რესპუბლიკის ჩემპიონობისათვის ბრძოლის საშუალებას მისცემდა. აჯობებდა კომისიას მინიშნებით მაინც ეჩვენებინა ჩემპიონატების გამართვის რაიმე უფრო ეფექტური სისტემა.

ასევე ვერ დავეთანხმებით კომისიის დასკვნას იმის თაობაზე, რომ სათადარიგო პირველობის ჩასატარებლად, აუცილებელი იყოს მაინცდამაინც ყველა გუნდის თანხმობა. ისე, აღნიშნულის თაობაზე ფედერაციაში მოვიწვიეთ უმაღლესი ჯგუფის გუნდების ხელმძღვანელობა და სათადარიგო გუნდების შეჯიბრების გამართვაზე მხოლოდ ორი გუნდი („ბათუმი“ და „ალაზანი“) იყო წინააღმდეგი. ფედერაციას კარგად აქვს წარმოდგენილი ის სიძნელეები, რასაც ეს გათამაშება გამოიწვევს როგორც კლუბებისათვის, ისე უშუალოდ ფედერაციისათვის, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ამან ქართული ფეხბურთის მომავლისათვის საერთო ჯამში დადებითი შედეგი უნდა გამოიღოს და სწორედ ეს თვალსაზრისი მიგვაჩნია გადამწყვეტ ფაქტორად.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ კომისიის ერთი ნაწილი თვლის, თითქოს შეცდომით იქნა უმაღლესი ლიგა დაკომპლექტებული მხოლოდ და მხოლოდ ბოლო წლის სპორტული შედეგების გათვალისწინებით. ფედერაცია კომისიის წევრთა ამ ნაწილის აზრს პატივს სცემს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება, მრავალი ვარიანტის გარჩევის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული.

წარმოვიდგინოთ, რომ ჯგუფები დაკომპლექტებულიყო ტერიტორიული პრინციპით, მაშინ როგორ სპორტულ დონეზე ჩაივლიდა პირველი ეროვნული ჩემპიონატის მთელი რიგი თამაშები? რამდენი გუნდი შერჩებოდა თავის ჯგუფს მისი დამთავრების შემდეგ? ეს უფრო ხომ არ გამოიწვევდა ძლიერ ფეხბურთელთა კლასის დაცემას?

არ შეგვიძლია დავეთანხმოთ კომისიის დასკვნას, რომ „კურიოზული შეცდომა“ იყო დაშვებული, როდესაც მეორე ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში არ იყო შეტანილი პუნქტი იმ გუნდების შესახებ, რომლებიც ითამაშებდნენ მატჩების 50% და მერე გამოეთიშებოდნენ ჩემპიონატს.

ყველა შეჯიბრებას თავისი დებულება აქვს, ის ხმების უმრავლესობით მტკიცდება და რაიმე პუნქტის გაუთვალისწინებლობა „კურიოზულ შეცდომად“ არ უნდა ჩაითვალოს, მითუმეტეს, რომ ჩვენი საფეხბურთო მეურნეობა ახლა იწყებს დამოუკიდებლად ცხოვრებას და თუ რამ გვეშლება (რა თქმა უნდა, გვეშლება კიდეც) მას დროულად და ერთობლივად უნდა გასწორება და არა მაშინ, როდესაც „ურემი გადაბრუნდება“.

რაც შეეხება უშუალოდ „მალაროელის“ თამაშების შედეგის გაუქმებას, ფედერაციას მიაჩნია, რომ შექმნილ მეტად არაორდინალურ სიტუაციაში სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში „მალაროელი“ ერთ-ერთ ბოლო ადგილს დაიკავებდა და გადასასვლელ მატჩში გამოუცხადებლობისათვის კი უნდა გადაგვეყვანა დაბალ ჯგუფში („მალაროელს“ პრეზიდიუმის სხდომაზე ერთხმად გაუუქმდა ნაჩვენები შედეგები და შეუნარჩუნდა ადგილი პირველ ჯგუფში).

სად არის ლოგიკა? საკუთარმა დაგროვილმა ქულებმა საკუთარ საბოლოო შედეგზე არ უნდა იმოქმედოს (ჯგუფში ადგილი უნდა შეგინარჩუნდეს), სხვა გუნდებზე კი არ უნდა იმოქმედოს! სხვა რომ არაფერი, ნუთუ არა სჯობდა, ყველა გუნდის ერთნაირ პირობებში ჩაყენება?

კომისიის დასკვნაში რიტორიკული ტონით დასმულია კითხვა:

„კომისია ვალდებულია პასუხი გასცეს ძირითად კითხვას — რა შემატა ქართულ ფეხბურთს განვლილმა ორმა წელმა“.

და აქვე გაცემული პასუხიც:

„სამწუხაროდ, მოხდა ფეხბურთის დონის ნიველირება წამყვან ფეხბურთელთა ოსტატობის დაქვეითების ხარჯზე“.

??

კომისია მთლიანად ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტებით და გამოცდილი ხელმძღვანელი სპორტული მუშაკებით იყო დაკომპლექტებული და ამდენად, იქნებ სჯობდა, ფაქტებით დაგვემტკიცებინა მართლა დაქვეითდა თუ არა ჩვენი ფეხბურთელების კლასი 1988-1989 წლების დონესთან შედარებით. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ არანაკლებ ცნობილი ბევრი სხვა სპეციალისტი სრულიად სხვაგვარად ფიქრობს და საამისოდ არგუმენტებიც მოჰყავს.

გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ კომისიამ, მიუხედავად მისი მაღალი კომპეტენტურობისა, სფფ-ს ბოლო ორი წლის საქმიანობაში ერთი დადებითი მომენტიც კი ვერ დაინახა. თუ დაინახა და ამის შესახებ არაფერს ამბობს, ესეც არაა სწორი, თუნდაც იმიტომ, რომ არ ვიცით ჩვენს საქმიანობაში დამაკმაყოფილებელი რა გვაქვს, რათა შემდგომში ისიც აღარ დავკარგოთ.

ჩვენი ხალხის მიერ ყრილობაზე არჩეულ საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციას მიაჩნია, რომ ფეხბურთის განვითარებასთან ერთად, ის საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, საქმიანობაში შეცდომებიც გვაქვს, დიდი წინააღმდეგობებიც გვხვდება, რომელთა დასაძლევად, ყველას თანადგომის იმედი გვაქვს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

რედაქციისაგან: საგანგებოდ ხელახლა გამოვაქვეყნეთ კომისიის დასკვნა (ადრე იგი „ლელოს“ 27 ივლისის ნომერში დაიბეჭდა) და ახლა აქვე შემოგთავაზეთ კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით ფედერაციის პასუხი.

მკითხველს ალბათ არ გაუჭირდებოდა დასკვნის გამოტანა. ფედერაცია რომ კომისიას პრაქტიკულად თითქმის არ ეთანხმება, ეს გასაკვირი არ იქნებოდა, მეორე ჩემპიონატში თავჩენილი დარღვევები მესამე ეროვნულ ჩემპიონატშიც მექანიკურად რომ არ გაგრძელებულიყო, მეტიც, ახლა წარმოუდგენლად აღმაშფოთებელ ფაქტებზე და დარღვევებზე რომ არ გვიხდებოდეს საუბარი. გადახედეთ 1991 წლის საქართველოს საგაზაფხულო საფეხბურთო ჩემპიონატის ისტორიას — რას არ ნახავს აქ კაცი: მატჩების ჩაშლა, მაყურებელთა თამაშში ჩარევა, მსაჯთა არაობიექტურობა, სტადიონებზე შექმნილი ყოვლად არასპორტული ვითარება, თავაშვებული [illegible], მუშტი-კრივი, ლანძღვა-გინება, ყოვლად გაუმართლებელი დაუმორჩილებლობა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმა ფეხბურთელმა მსაჯს... უკბინა. ამჟამად მიმდინარე ჩემპიონატის სამ ტურში გაფრთხილება მიიღო 26-მა ფეხბურთელმა, მინდორი დაატოვებინეს 8 მოთამაშეს.

დარღვევებს ისეთი ვრცელი მასშტაბები მიეცა, რომ ფედერაცია მთელი თავისი ინსპექტორებითა და კომისრებით უძლური გახდა წინ აღუდგეს ხულიგნობის ამ მასობრივ გამოვლინებებს.

დამოუკიდებლობა ყველაფერში კარგია, მაგრამ რაც ერის ნერვს მოწყდება, ის ერის ინტერესებით ვერ აიხსნება.

ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში, ცხადია, არის ნაკლოვანებები, მაგრამ მხოლოდ ისინი არ შეიძლება მივიჩნიოთ საერთო ნეგატიური სურათის მიზეზად. კუთხურობამ, მიკერძოებამ, ვაიგულშემატკივრობამ, ფეხბურთს მიტმასნილმა მომხვეჭელებმა აამტუტეს ეროვნული ჩემპიონატი. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, ამით მხოლოდ მტერს ვახარებთ.

ფეხბურთის ფედერაციას საზოგადოებრიობა არ ამოუდგა მხარში და თუ რატომ — ძნელი ასახსნელი არ არის. იმათ მიმართ, ვინც მოჭარბებულ ვნებათაღელვას იწვევს, ვისაც ქალაქის თუ რაიონის გუნდის მიერ მეტოქისგან ძალით წაგლეჯილ ქულამდე და „ობსაიდამდე“ დაჰყავს ეროვნული ინტერესები, საზოგადოებრიობამ დაუნდობელი პოზიცია უნდა დაიკავოს. რად გვინდა ისეთი ეროვნული ჩემპიონატი, თუ ფეხბურთი, ხალხის საყვარელი სპორტის ეს სახეობა, მტრად მოვიკიდეთ.

აქვე გვინდა ვიკითხოთ, ძალუძს თუ არა ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებელ ფედერაციას თავად მართოს პროცესები ისე, რომ ფეხბურთი საქართველოში სიხარულს იწვევდეს და არა სინანულს, გულს გვითბობდეს და არა სირცხვილით გვწვავდეს? არა, არ ძალუძს, დრომ გვიჩვენა, რომ დამოუკიდებლად, თუ ვინმე არ ამოუდგა მხარში, არ ძალუძს.

ვინც წყალს ამღვრევს, იმან ჩინებულად იცის, თევზი როგორ დაიჭიროს და იჭერს კიდეც. იცის, რომ, რაც გინდა დააშავე, ფეხბურთის ფედერაციის იქით არსად წავა მსჯელობა. ეს განწყობა მაყურებელზეც გადადის და ინგრევა სტადიონები, ცხვირპირს ალეწენ მსაჯებს, ფეხბურთელებს, ხშირად საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებსაც კი. მაგრამ, რაც მთავარია, ირღვევა ჩვენი რწმენის კედელი, იმერ-ამერს, სრულიად საქართველოს სიყვარულით რომ ადუღაბებდა.

მით უფრო უარესი, რაც უფრო დიდხანს ვიქნებით შორიდან მეთვალყურისა და მომლოდინის როლში. ეს სიტყვები ვისაც როგორ სურს, ისე გაგვიგოს.

ფეხბურთის ფედერაციის პასუხს ალბათ, ბევრი გამოეხმაურება, საინტერესოა რას ფიქრობს ხალხი. რაც შეეხება ქუთაისში 26 აგვისტოს მატჩში მომხდარ ფაქტს, ამ უმსგავსობაზე პრინციპულად, სრული შეუვალობით უნდა იმსჯელოს არა მარტო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ და პრეზიდიუმმა, არამედ ავტორიტეტულმა, საქმიანმა თავყრილობამაც, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დააყუჩოს ფეხბურთით გამოწვეული ჩვენი ტკივილი.

რა ვქნათ, რა ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს? არ დავმალავთ, საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი დღეს კატეგორიულად მოითხოვს, რომ შეჩერდეს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა. რადიკალური ზომების გატარება რომ საჭიროა, ახლა უდავოა, მაგრამ როგორის? მოდით, ერთად ვიმსჯელოთ, ველით თქვენს წერილებს.

ქუთაისის სტადიონზე მომხდარი ინციდენტის ექო

საქართველოს ფეხბურთის
ფედერაციის
პრეზიდენტს ბ-ნ ნ. ახალკაცს

საქართველოს ეროვნული
ჩემპიონატის მსაჯის
თამაზ ლაცაბიძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ 26 აგვისტოს ვმსაჯობდი ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის შეხვედრას ქუთაისში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ უმაღლესი ჯგუფის გუნდები ადგილობრივი „ქუთაისი“ და თბილისის „იბერია“. ჩემთან ერთად, ამ შეხვედრას სჯიდნენ გურჯაანელი ი. მექერიშვილი და გორელი მ. აბაიაძე.

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, წარიმართა მეტად დაძაბულად და საინტერესოდ. ამასთანავე, კორექტულად, რაშიც ხელი შეგვიწყეს ორივე გუნდის ფეხბურთელებმა.

თამაშის 38-ე წუთზე, როდესაც მასპინძელთა გუნდი იგებდა 1:0, დავნიშნე თერთმეტმეტრიანი დარტყმა ქუთაისელთა კარში, ამან მაყურებელთა ერთ ნაწილში გამოიწვია უკმაყოფილება, მათ დაიწყეს ქვების სროლა. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1. როდესაც წავედით გასახდელში, კვლავ დაგვიშინეს ქვები, მაგრამ მილიციის თანამშრომლების აქტიური დახმარებით, გასახდელში მშვიდობით შევაღწიეთ. ამ დროს ჩვენთან შემოვიდნენ ადგილობრივი გუნდის ხელმძღვანელები და გამოთქვამდნენ პრეტენზიას თერთმეტმეტრიანის დანიშვნის თაობაზე. ყოველივე ამას ესწრებოდა შეხვედრის კომისარი ი. მჭედლიშვილი. მან სთხოვა ადგილობრივი გუნდის პრეზიდენტს, რომ ენახა მოედანზე დარღვევის ადგილი. ისინი ჩავიდნენ მინდორზე და რამდენიმე წუთში უკვე ცნობილი იყო, რომ თერთმეტმეტრიანი დაინიშნა სამართლიანად.

კომისარმა მოუწოდა ქუთაისელთა კლუბის ხელმძღვანელობას თავი შეეკავებინათ ემოციებისაგან და მეორე ტაიმი ჩატარებულიყო ნორმალურ პირობებში.

მეორე ტაიმი წარიმართა ქუთაისელთა სრული უპირატესობით, მაგრამ თბილისელთა ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დასრულდა. მის მერე მაყურებელთა ერთი ნაწილი „გააქტიურდა“ მსაჯების და თბილისელ ფეხბურთელთა მიმართ. შეხვედრის დამთავრებას აკლდა 1 წუთი და 15 წამი, როდესაც თბილისელებს უნდა შემოეყვანათ ბურთი თამაშში გვერდითი ხაზიდან, მაგრამ, ქუთაისელი მაყურებლები ისროდნენ ქვებს, და არ უშვებდნენ თბილისელებს მოეწოდებინათ ბურთი. თითქმის ამასობაში დრო ამოიწურა, ჩვენსკენ წამოვიდა მაყურებელთა ერთი ნაწილი. მინდორზე შემოცვივდნენ მილიციელები და რის ვაი-ვაგლახით შევაღწიეთ გასახდელში. გვერდით მსაჯს ი. მექერიშვილს ზურგში ქვა მოარტყეს. ჩვენ დაახლოებით საათნახევარი ვიმყოფებოდით გასახდელში და ისევ მილიციელების დიდი დახმარებით გამოვაღწიეთ იქიდან და გამოვემართეთ თბილისისაკენ.

თ. ლაცაბიძე.

27.08.91.

• • •

მატჩის ინსპექტორმა ილია მჭედლიშვილმა გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ კორესპონდენტს შემდეგი უამბო:

— ასეთი რამ ცხოვრებაში არ მინახავს. არადა, მსაჯთან საპრეტენზიო ქუთაისელებს ნამდვილად არ ჰქონდათ. მთავარ არბიტრს ათბალიანი სისტემით შეფასებისას, რვიანი დავუწერე. ნიშანი ჩამოვაკელი მხოლოდ იმიტომ, რომ მან მატჩის ბოლო წუთებში კიდევ ერთი უეჭველი პენალტი არ დანიშნა მასპინძელთა კარში. მაგრამ მესმის მისი. იმ დროისათვის სტადიონზე უკვე არანორმალური სიტუაცია იყო.

ტელევიზიით ყველაფერი ნახეთ. ეს მატჩი საქართველოს ტელევიზიის მოძრავი სატელევიზიო სადგურის ფასად დაუჯდა (სადგური ვანდალებმა გაანადგურეს). აღტაცებული ვარ მილიციელთა მოქმედებით. არ ვიცი, დაიჭირეს თუ არა ვინმე იმ ხულიგანთაგანი, მაგრამ ვიდეოფირზე ნათლად ჩანს მათი სახეები. ვფიქრობ, უნდა მოვითხოვოთ ამ გარეწრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

ალექსანდრე ჩივაძე: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

მთავარი არ არის იმის გარკვევა, დამთავრდა თუ არა თამაში ქუთაისში, თუმცა ვიცით, რომ შეხვედრა დამთავრებულად ითვლება მაშინ, როცა მსაჯი ყველა ფორმალურ მხარეს ჩაატარებს — ჩასტვენა, ცენტრში ფეხბურთელების მოხმობა თუ სხვა. ფაქტია, რომ იმ დღეს მატჩის არბიტრი ამას ვერ შესძლებდა. ასეთი რამ მოხდა და ყველამ ერთად ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, რით ვუმკურნალოთ ამ სენს, მაყურებელთა ქცევის პრობლემა რომ ჰქვია.

თენგიზ სულაქველიძე: სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე.

თუ მატჩი დამთავრებულად ჩაითვალა, მაშინ ანგარიში ძალაში უნდა დარჩეს და „ქუთაისს“ არ უნდა დაეწეროს — 0:3 წაგება. თუ თამაში ჩაიშალა, მაშინ ხალხი მიხვდება, თავიანთი უხნეო საქციელით თუ როგორ დააზარალეს მშობლიური კლუბი, რომელიც მესამე ტურამდე ქულათა მაქსიმუმით მოვიდა.

რევაზ ძოძუაშვილი: თბილისის „იბერიის“ მთავარი მწვრთნელი:

მატჩის არბიტრს ვერავინ შეედავება დროის დაფიქსირებაში. მას აქვს ზუსტი საათი და მხოლოდ თავად განსაზღვრავს შეხვედრის დამთავრებას. ქუთაისში კი არბიტრმა ოქმი შეგვავსებინა, ნიშნები დაგვაწერინა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეხვედრა დამთავრდა. ვიმეორებთ, მსაჯს აქვს ამის უფლება და მის კომპეტენციაში ვერავინ ჩაერევა.

დღეს მეუბნებიან ქუთაისში რეზო ძოძუაშვილს ეს-როგორ გაუბედესო. აქ არა აქვს მნიშვნელობა, ამა თუ იმ პიროვნებას სცემენ თუ არა პატივს. ჩვენ ყველამ ერთად პატივი უნდა მივაგოთ ეროვნულ ჩემპიონატს.

მთავარია, რომ პროფესიონალებმა იტრიალონ სპორტის გარშემო. ალბათ, ყველას ახსოვს ყოფილი მოჭიდავე თეიმურაზ აფხაზავა. ქუთაისში ამ კაცს სპორტი რომ ჩააბარეს, საქმე სასიკეთოდ შემოტრიალდა. აფხაზავას რომ მისნაირი პროფესიონალები დაუდგნენ გვერდში, მსგავსი რამ ქუთაისში ალბათ აღარასოდეს განმეორდება.

თვალნათლივ ჩანს, რომ დღეს არაპროფესიონალები [illegible] საფეხბურთო კლუბებს. წაგების შემთხვევაში, მარცხი მათ რომ არ დაბრალდეთ, ყველანაირად ცდილობენ თავი გადაირჩინონ, რითაც აღიზიანებენ მაყურებელს. ასეთად უნდა ჩაითვალოს ქუთაისელთა პრეზიდენტის მიერ შესვენებისას თერთმეტმეტრიანის დანიშვნის სამართლიანობის გარკვევა სახალხოდ, მოედანზე, ბუნებრივია, ამან უფრო გააღიზიანა ქუთაისელი გულშემატკივარი.

მეთექვსმეტე სვეტი

● 89 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ტოკიოს უნივერსიტეტის დამაარსებელი და რექტორი სიგესი მაცუმაე. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა იაპონელი სპორტსმენების საერთაშორისო კონტაქტებს და იყო ამ უწყების უცვლელი პრეზიდენტი. თავკაცობდა იაპონიის ძიუდოს ფედერაციასაც და 8 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჭიდაობის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციას.

● ევროპის მძლეოსანთა ასოციაციამ (აეა) ერთგული მოკავშირე და მფარველი იპოვნა ამერიკაში. ეს გახლავთ საკმაოდ პოპულარული ფირმა „ჩემპიონ პროდაქშნზ იუ ეს“, რომელმაც ხალისით იკისრა ძველი სამყაროს მძლეოსანთა სპონსორობა. ამიერიდან, ფირმა მოემსახურება ტექნიკურ პერსონალსა და ოფიციალურ პირებს ყველა კონტინენტურ შეჯიბრებაში, მათ შორის, ევროპის 1994 წლის ჩემპიონატზეც, რომელიც ჰელსინკში გაიმართება.

● **ამერიკის** შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა, რომელიც დანიშნულია ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად, განაცხადა, რომ ყოველმხრივ დაუჭერს მხარს იდეას ევრო-ამერიკული პროფესიული ლიგის შექმნის თაობაზე. ამ ლიგაში, მისი აზრით, 14-16 გუნდი უნდა შევიდეს, მათ შორის, ექვსი — ამერიკიდან.

● სოკ-ის ოლიმპიური პროგრამის კომიტეტის აზრით, 1996 წლის თამაშების პროგრამაში უნდა შევიდეს ქალთა სოფტბოლი და თანამედროვე ხუთჭიდი. ამავე დროს, კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, პროგრამიდან ამოიღონ სინქრონულ ცურვაში სოლისტებისა და დუეტების გამოსვლა და ისინი გუნდური ასპარეზობით შეცვალონ. ადრე კომიტეტმა უარყო ოლიმპიადის პროგრამაში რაკეტბოლის, ტრიატლონის, ბოულინგის და ტაეკვონდოს შეტანა.

● **ამას წინათ,** გრანადაში (ესპანეთი) გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქალთა თარჯრბენში მეორე ადგილი დაიკავა შვეიცარიელმა ჟიული ბაუმანმა, როდესაც სამდივნო ამ სპორტსმენის ანკეტას ეცნობოდა, აღმოაჩინა, რომ იგი ყოფილა კანადელი როზლი. თავის დროზე, როზლის 2 წლით ჩამოერთვა შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება დოპინგის მიღებისთვის. სასჯელის მოხდის შემდეგ, იგი გათხოვდა შვეიცარიაში და გახდა ბაუმანი, ასე რომ, ამ ისტორიაში კრიმინალური არაფერი ყოფილა.

● ოქტომბერში იტალიის რომელიმე ქალაქმა (სავარაუდოა, მილანმა) უნდა უმასპინძლოს ფეხბურთელ ქალთა საინტერესო მატჩს — „მსოფლიოს ყველა ვარსკვლავსა“ და სსრ კავშირის ნაკრებს შორის. უკვე დაიწყო ვარსკვლავთა გუნდის შემადგენლობის დაზუსტება. ჯერჯერობით ცნობილია, რომ ძირითად შემადგენლობაში იქნება სამი ჩინელი ფეხბურთელი (ორიც — რეზერვში).

● **გერმანიის** ჰოკეისტთა კავშირმა უკვე დაიწყო სამზადისი მსოფლიოს 1993 წლის ჩემპიონატისთვის, რომელიც მიუნხენში ჩატარდება. ტურნირის ორგანიზაცია და დაფინანსება კერძო ფირმებმა იკისრეს, ასე რომ, ფედერაცია ამ თავსატეხისგან თავისუფალია. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ფ. რადმანი, მიუნხენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს, გამოცხადდა, რომ წინასწარი შეხვედრები გაიმართება კიოლნსა და დორტმუნდში. წლის ბოლოს კი დაიწყება ბილეთების წინასწარი გაყიდვაც, რას ნიშნავს გერმანული ორგანიზებულობა და წინდახედულობა.

მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

მსოფლიო ახალი რეკორდი

„**ძლიერი** პირქარი რომ არა, ალბათ, მსოფლიოს რეკორდს დავამყარებდი“ — სინანულით უთხრა ჟურნალისტებს 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა, როცა ტოკიოს სტადიონზე დაჯილდოების ცერემონიალი დასრულდა. მართლაც, რბენის დროს შემხვედრი ქარის სისწრაფე წამში 3 მეტრს აღემატებოდა. და მაინც, მან ფინიშზე 3 მეტრზე მეტით ჩამოიტოვა მეორე პრიზიორიც კი — ნამიბიელი ფრედერიკსი. არადა, ისეთი დიდი რანგის შეჯიბრებაზე, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშებია, აგერ უკვე 55 წელია, არავის ახსოვს ამგვარი უპირატესობისთვის მიეღწიოს გამარჯვებულს. ჯონსონის სინანული უსაფუძვლო როდია: მძლეოსანთა მესამე ჩემპიონატზე მართლაც იშვიათობად იქცა მსოფლიოს რეკორდები — პირველი ოთხი დღის მანძილზე მხოლოდ ორი ასეთი მიღწევა აღინიშნა და მათგან ერთი იუნიორთა რეკორდია.

28 აგვისტოს ჩემპიონატის მონაწილეებმაც დაისვენეს და მომდევნო დღეს კვლავ განაახლეს მედლებისთვის ბრძოლა. ამ დღეს ჯილდოების 4 კომპლექტი თამაშდებოდა. ყველას ყურადღების ცენტრში მაინც ჭოკით ხტომის სექტორი გახლდათ. ხუმრობა ხომ არ იყო, სწორედ აქ ცდიდა ძალას ამ სახეობაში 28 მსოფლიო რეკორდის ავტორი, დონეცკელი სერგეი ბუბკა; მძლეოსნობის ისტორიამ კი ამგვარი მიღწევის ანალოგი არ იცის. ყველას აინტერესებდა, შეიტანდა თუ არა „ფრთოსანი სერგეი“ ოცდამეცხრე შესწორებას რეკორდების ცხრილში — 610 სანტიმეტრ სიმაღლეს დასძლევდა — თუ მარტო ოქროს მედლის მოპოვებით დაკმაყოფილდებოდა.

ცხადია, ბუბკა სარბიელზე გასვლამდე ერთზეც ფიქრობდა და მეორეზეც, მაგრამ უპირატესობას ოქროს მედალს აძლევდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა — ნატკენი ქუსლი თავს ახსენებდა. მართლაც „ხტომის მარათონში“, 4 საათს რომ გაგრძელდა, ანესთეზირებამაც ვერ უშველა. 590 სანტიმეტრზე 22 წლის უნგრელი იშტვან ბადიულა დაწინაურდა — მან პირველივე ცდაზე დასძლია იგი, ბუბკას მეტი დასჭირდა. შემდეგი სიმაღლე — 595 სანტიმეტრი - მან მესამე ცდით გადალახა, მის მეტოქეს კი ეს სიმაღლე არ დამორჩილდა. 60 ათასამდე მაყურებელი ამაოდ ელოდა რეკორდს. ბუბკამ შეჯიბრება ველარ გააგრძელა. იგი იმით დაკმაყოფილდა, რომ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

გუშინწინ გათამაშებული 4 „ოქროდან“ 2-2 მოიპოვეს აშშ-სა და სსრკ-ის მძლეოსნებმა. ბუბკას გარდა წარმატებას მიაღწიეს მინსკელმა ტატიანა ლედოვსკაიამ (400 მეტრზე თარჯრბენში), ამერიკელებმა — გრეგ ფოსტერმა (110 მეტრზე თარჯრბენში) და ენტონი პეტიგრიუმ (400 მეტრზე სირბილში).

ბოლოს...

ამერიკელმა მძლეოსანმა მაიკ პაუელმა დაამხო თავისივე თანამემამულის ბობი ბიმონის მიერ 23 წლის წინანდელი მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში (890 სმ). პაუელმა ბიმონის რეკორდი 5 სმ-ით გააუმჯობესა.

ამიერიდან — ორ წელიწადში ერთხელ

მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის საბჭომ გადაწყვიტა, მსოფლიოს ჩემპიონატები ამ სახეობაში ჩატარდეს არა ოთხ წელიწადში ერთხელ, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ, ყოველ ორ წელიწადში და განსაზღვრა ორი უახლოესი პირველობის ვადები და მასპინძელ ქალაქთა ვინაობა. მეოთხე ჩემპიონატს 1993 წელს უმასპინძლებს შტუტგარტი, მეხუთე ჩემპიონატს, ორი წლის შემდეგ — გეტებორგი.

დღეს სუპერტურნირის სტარტია

დამთავრდა ჰოკეისტთა ამხანაგური მატჩების სერია, რომელიც, ტრადიციულად, წინ უსწრებს კანადის თასის გათამაშებას. ეს თავისებური სუპერტურნირი მსოფლიოს სპორტულ წრეებში უდიდესი პოპულარობითა და ინტერესით სარგებლობს.

ბოლო საკონტროლო შეხვედრებში შვედებმა დაამარცხეს ფინელები — 5:2, აშშ-ის ნაკრებმა კი ჩეხეთ-სლოვაკეთის გუნდს აჯობა — 6:3.

დღეს გაიმართება ოფიციალური ტურნირის პირველი მატჩები. სასკატუნში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ჩეხეთ-სლოვაკეთის ჰოკეისტები, პიტსბურგში ითამაშებენ ამერიკელები და შვედები, ხოლო ტორონტოში მასპინძლები ფინეთის ნაკრებს უმასპინძლებენ.



გორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზირი № 2)

3 სექტემბერი ● ფეხბურთი

საქართველოს თასის 1/16 ფინალის პირველი მატჩი:

„იბერია“ (თბილისი) — „მრეტები“ (თბილისი)

დასაწყისი 18 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 2 და 3 სექტემბერს 10-დან 18 საათამდე. აქვე გაიყიდება „სპრინტის“ ბილეთები (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

1991-92 წ. წ. II ჩემპიონატზე გაცემული ყველა საშვი ძალაშია III ჩემპიონატისა და თასის მატჩებ ზე.

„დიდი“ სამეული

60-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტული ოჯახი ინგლისში რობინ ბრაიტუელმა და ენ პეკერმა შექმნეს. ამ წყვილს ბევრი რამ ჰქონდა საერთო: ორივე მძლეოსანი იყო, ორივეს კოზირი 400 მეტრიანი დისტანცია გახლდათ, ორივე ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, ოღონდ რობინი მეუღლისაგან განსხვავებით ბრიტანეთის ოლიმპიური გუნდის კაპიტანი იყო.

არნაკლები პოპულარობით სარგებლობდა მაშინ, ამ ოჯახის კიდევ ერთი „წევრი“, მწევარი პოლი, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს რობინთან და ენთან ერთად „ვარჯიშობდა“, მონაწილეობდა ერთობლივ „შეჯიბრებაში“ და მეტწილად გამარჯვებული გამოდიოდა.

1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზე 400 მეტრზე რბენაში რობინ ბრაიტუელმა მეოთხე ადგილი დაიკავა — 45,7, ჩემპიონი კი ამერიკელი მ. ლერაბი გახდა (45,1). სამაგიეროდ რობინმა თანამემამულეებთან (ჯონ კუპერთან, ადრიან მეტკალფთან და ტიმიტო გრეჰემთან) ერთად ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ესტაფეტაში 4X400 მ (3. 01, 6), აშშ-ს გუნდის შემდეგ (3. 00, 7).

ტოკიოს მძლეოსანთა ტურნირზე ენ პეკერი თავის მეუღლეზე უკეთ გამოვიდა. მან ვერცხლის მედალი მიიღო 400 მ. რბენაში— 52,2 (ავსტრალიელი ბეტი კატბერტის შემდეგ, რომელმაც დისტანცია 52,0-ში დაფარა), 800-მეტრიან დისტანციაზე კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, თანაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2.01,1.

სურათზე აღბეჭდილია ოჯახის ყოველდღიური წვრთნა ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში, სადაც ბრაიტუელი და პეკერი ბედნიერად ცხოვრობდნენ ერთგულ პოლთან ერთად.

ნბა-ს ოლიმპიური ვარიანტი

ატლანტა. გაზეთმა „ჯორნელ კონსტიტუშნმა“, რომელიც აშშ-ის ამ ქალაქში გამოდის, კალათბურთის მოყვარულებს ამცნო, რომ ნბა-ს ბევრმა „ვარსკვლავმა“ ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა. ესენი არიან, პირველ რიგში, ლარი ბიორდი და მაიკლ ჯორდანი.

ამ ამბით გახარებულმა ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელებმა ოფიციალური მოწვევა გაუგზავნეს შემდეგ „ვარსკვლავებს“: ლარი ბიორდს („ბოსტონ სელტიკსი“), მეჯიკ ჯონსონს („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“), მაიკლ ჯორდანს („ჩიკაგო ბულსი“), დევიდ რობინსონს („სან ანტონიო სპურზი“), კარლ მელოუნს („იუტა ჯაზი“), ჯონ სტოკტონს („იტა ჯაზი“), ჩარლზ ბარკლის („ფილადელფია-76“), კრის მალინს („გოლდენ სტეიტ უორიორზი“), პატრიკ იუინგს („ნიუ-იორკ ნიკსი“), სკოტ პიპენს („ჩიკაგო ბულსი“).

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ყველაფერი გაირკვევა 21 სექტემბრისთვის, როცა გამოქვეყნდება ბარსელონაში მიმავალი გუნდის შემადგენლობა.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი „ვერე“.

აცხადებს:

კონკურსს ინსტრუქტორმეთოდისტების და მწვრთნელ-მასწავლებლების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

სავალდებულოა უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება.

ანაზღაურება სახელშეკრულებოა.

მსურველებს განცხადება შეუძლიათ შემოიტანონ 21 სექტემბრამდე კომპლექსის დირექტორის სახელზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ: კოსტავას I შესახვევი, 34, ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი „ვერე“, კადრების განყოფილება. ტელ: 93-43-60.

2 სექტემბრიდან...

მიუხედავად იმისა, რომ საშუალო სკოლებში სწავლა იწყება 1991 წლის 16 სექტემბრიდან, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბავშვთა-მოზარდთა ექსპერიმენტული სასპორტო სკოლის დირექცია აცხადებს, რომ მეცადინეობა სწავლების მეორე, მესამე და მეოთხე წლის ჯგუფებში, აგრეთვე სპეცჯგუფებში, დაიწყება 2 სექტემბრიდან.

საქართველოს ავიაციის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და სპორტკლუბ „ავიატორის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კლუბის თავმჯდომარეს, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს ნიკოლოზ სომხიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: მ. ძიძიძე, ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-53
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარიულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.